ბავშვი



№6-7
2000

თაობა მოდის
გვ. 1-3

ნისლში ფიქრია ეფეზისა
გვ. 4-5

მეცნიერის დიდი გზა
გვ. 10

პოეზია
გვ.8-9

არსათქმელი სიტყვა

ს

მინდა, არ შემრცხვეს ჩემი ხალხის!

ნუნუ კუპრეიშვილი

"საით მივდივარ? მე მინდა, პირნათელი მივიდე იქ, საითაც მივდივარ. მინდა, არ შემრცხვეს ჩემი ხალხის, საკუთარი შვილის წინაშე, როდესაც მკითხავენ, რა გავაკეთე სამშობლოსათვის?! მინდა, ჩვენს შვილებს ისეთი ქვეყანა ჩავაბაროთ, იგივე ტერიტორიებით, რაც ჩვენმა მამებმა დაგვიტოვეს, წელგამართული ეკონომიკითა და შესაბამისად ცხოვრების კარგი პირობებით..."

ამბობს ახალგაზრდა მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი და ჩვენ გვინდა, ვირწმუნოთ მისი.

მას ენდნენ. ნდობას კი გამართლება უნდა. გამართლებას — დიდი ძალისხმევა, ახალგაზრდული შემართება, შეუპოვარი და გაბედული ნაბიჯები.

წინ მძიმე გზაა, უკანდასახევი კი მოჭრილია. მას ხომ თავად ქვეყნის პრეზიდენტი შეეპირდა მხარში ამოდგომას. მხოლოდ ერთიან, სწორ ხედვასა და ერთ პრინციპზე შეკავშირებულ ძალას შესწევს უნარი, გზა გადაუღობოს კორუფციასა და განუკითხაობას.

და კიდევ: საგადასახადო შემოსავლების მინისტრი დროს ითხოვს, იმ მძიმე მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ახლადჩამოყალიბებული სამინისტროს სწორი მიმართულებით წარმართვის საწინდარი უნდა გახდეს.

მანამდე კი იმ კითხვის პასუხი მოვისმინოთ, საიდან მოდის თავად მიხეილ მაჭავარიანი.

***

მაჭავარიანების ოჯახში რომ დავრეკე, ყურმილი მიხეილის დედამ, ქალბატონმა მარინე მდინარაძემ აიღო. მას კარგა ხანია, შორიდან ვიცნობდი, ბევრი კარგი მსმენოდა პირადად მასზე და მის ოჯახზე ჩემი მეუღლისაგანაც და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებისგანაც, სადაც ქალბატონი მარინე აგერ უკვე 45 წელია, ინსტიტუტის უმდიდრეს წიგნთა ფონდს განაგებს — ბიბლიოთეკის გამგეა.

მიშიკოსთან შესახვედრად შუამდგომლობა ვთხოვე.

— ვწუხვარ, მაგრამ ამ მოკლე დროში ვერ შეგპირდებით, ჩემი შვილი ისეა დაკავებული, მე მას წერილებით ვესაუბრები, — მომიბოდიშა ქალბატონმა მარინემ.

ჩვენ შეხვედრა მაინც დავთქვით, უფრო ახლოს რომ გამეცნო ის გარემო, სადაც მიშიკო და მისი ძმა ვანიკო გაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ და ცხოვრების დიდ გზაზე გავიდნენ.

სანამ შვილებზე რამეს მეტყოდა, ქალბატონმა მარინემ საუბარი მეუღლის — ვარდენ მაჭავარიანის მოგონებით დაიწყო:

— გასულ წელს ჩვენს ოჯახს ბურჯი გამოეცალა, ჩემმა შვილებმა შესანიშნავი მამა დაკარგეს, მე კი — უერთგულესი მეუღლე და ოჯახის წინამძღოლი. მიშიკოსა და ვანიკოს ბევრი კარგი თვისება მამისგან გამოჰყვათ.

ჩემი მეუღლე სკოლის მერხიდან წავიდა სამამულო ომში, შემდეგ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ქალბატონმა მარინემ ეს რომ თქვა, საქაღალდე გამომიწოდა. მასში მოთავსებული არაერთი სტატია და მოგონება თვალსაჩინო მეცნიერის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ ვარდენ მაჭავარიანის ღირსებებზე, დამსახურებასა და ადამიანურ თვისებებზე მოგვითხრობდნენ.

ქალბატონმა მარინემ თავიანთი წინაპრებიც მოიგონა:

— ჩემი მეუღლის დედა, თამარ წერეთელი მეტად განათლებული ქალი იყო, გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, ეს კი მაშინ დიდად ფასობდა. მამაჩემი ივანე მდინარაძე კი ავტოსარემონტო ქარხნის ინჟინერი იყო, პირველი სტახანოველი. სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობთ და მსუბუქი მანქანა, როგორც მოწინავეს, იმ "ავადსახსენებელი" კომუნისტების დროს აჩუქეს. ომი რომ დაიწყო, არც დაფიქრებულა, ჩაჯდა იმ მანქანაში და ცხელ ხაზს მიაშურა, ქერჩში წავიდა...

სწორედ მაშინ, როცა მიშიკო მინისტრად დანიშნეს, ამ ამბავმა ძლიერ ამაღელვა, ვეჩხუბე კიდეც, ასეთი თამამი გადაწყვეტილება როგორ მიიღე-მეთქი. იცით, რა მიპასუხა?

— განა შენი მამა, ბაბუაჩემი არ იყო, ფრონტის წინა ხაზზე რომ წავიდა მაშინვე, როცა ქვეყანა განსაცდელში ნახა?

— ვერაფერი ვუთხარი. როგორც ჩანს, ჩვენი შვილებისათვის წინაპართა კარგი მაგალითი ცხოვრების დიდი გაკვეთილია.

ჩემი მეორე ვაჟი ივანე (ვანიკო) ერთი წლით უმცროსია მიშიკოზე. მანაც დამოუკიდებლად გადადგა ცხოვრების პირველი ნაბიჯები. 1993 წლის 25 ივლისს, როცა ჩემს მეუღლეს პირველი ოპერაცია გავუკეთეთ, მეორე დღეს — 26-ში, ვანიკომ მოგვიბოდიშა და გვაცნობა, რომ კონკურსში გაიმარჯვა და სასწავლებლად საზღვარგარეთ უნდა წასულიყო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავუშალეთ. ჯერ პრაღაში სწავლობდა, შემდეგ უნგრეთში, ევროპის მრავალ ქვეყანაში ისწავლა. გახდა სოროსის პირველი სტიპენდიანტი. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, ლესლი როჯერსი, ჩამოიყვანა საქართველოში და მცხეთაში დაიწერეს ჯვარი. მათ ქორწილს ოცდახუთი უცხოელი დაესწრო. ლესლი ანანურში მართლმადიდებლად მოინათლა.

შესანიშნავი გოგონაა, თბილი, ყურადღებიანი, — სიყვარულით მიყვება ქალბატონი მარინე რძალზე — ქორწილში ქართული ისე იცეკვა, ქართველისაგან ვერც გაარჩევდით. ჩვენთვის რომ ესიამოვნებინა, სალაპარაკო ქართულიც ისწავლა. ახლახან ქალიშვილი შეეძინათ. დამოუკიდებლად ზრდიან პატარას.

ვანიკო ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელია ნიუ-იორკში კონფლიქტოლოგიის საკითხებში. ლესლი კი იურისტია და პრესტიჟულ ფირმაში მუშაობს.

— რას მოიგონებთ თქვენი შვილების ბავშვობის წლებიდან?

— ჩემს შვილებს ლაღი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდათ. ბაღიდან მოყოლებული, თავიანთი საქციელისა თუ გარეგნობის წყალობით რატომღაც სულ ყურადღების ცენტრში იყვნენ. მაშინდელი "პარადებისა" და სხვადასხვა ღონისძიებების "აქტიური მონაწილეები" გახლდნენ. ბავშვობისას ორივე ხატავდა. კინოგადაღებაშიც კი მიიღეს მონაწილეობა. ცოტა რომ წამოიზარდნენ, შაბათ-კვირასა და ზაფხულის ცხელ დღეებს

F 8091

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების წიაღში ვატარებდით. მოვლილი გვქონდა საქართველოს მთა-ბარი.

ჩუმათელეთის გზაზე, სოფელ ხევში მეუღლეს საცდელი ნაკვეთი ჰქონდა და იქაც ხშირად დავდიოდით. ძალიან შეხმატკბილებული და მეგობრული ოჯახი გვქონდა.

შუაგულ რუსთაველზე, სადაც ამჟამადაც ვცხოვრობთ, ნამდვილი თბილისური ეზო და სამეზობლო გვაქვს. ჩვენ სახლში კარი არასოდეს იკეტება. ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებთ, ლუკმას ვიყოფთ, ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ.

— მიშიკოზე კიდევ რას გვეტყვით, როგორია დედის თვალით დანახული მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. მიშიკო თავიდან მამის გზას გაჰყვა, დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტი აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით, მუშაობდა ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე ლაბორანტად.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა. დაეუფლა უცხო ენასაც.

„სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა"...

არ შემიძლია, მადლობის გრძნობით არ მოვიხსენიო ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი ბესარიონ ჯორბენაძე, რომელმაც უყურადღებოდ არ დატოვა ჩემი შვილი და ენათმეცნიერების ინსტიტუტში მოიწვია სამუშაოდ. სხვათაშორის, პირველი ხელფასი მიშიკომ ჩვენი ინსტიტუტიდან მიიღო. მთელმა ინსტიტუტმა იცის, როგორ მეხმარებოდნენ ჩემი შვილები წიგნების დალაგებაში, როცა ინსტიტუტმა ბუდე შეიცვალა.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საკვირველია, როგორ ჩაება მიშიკო აქტიურ პოლიტიკაში?

— ეს ძირითადად მისმა სამეგობრომ განაპირობა. და ყველასაგან მოულოდნელად მიშიკომ დათმო სპეციალობა, დისერტაცია და პოლიტიკოსის სტატუსი შეიძინა.

— როგორ ფიქრობთ, ქალბატონო მარინე, ძნელია მინისტრი შვილის დედობა?

— ძნელი და რთული უპირველესად მინისტრობაა, მეტადრე ისეთ სფეროში, მიშიკომ რომ იტვირთა. არც მინისტრის დედობა ყოფილა ეგრე ადვილი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მიშიკო შინ ღამის 2-3 საათზე, ზოგჯერ კი უფრო გვიანაც, ბრუნდება. გამთენიისას კი ისევ მიდის სამსახურში და ასეა, გაუთავებლად. როგორც ის, მეც დანატრებული ვარ მშვიდ ძილსა და დასვენებას. ჩვენთან ბევრი რეკავდა და რეკავს, ბლოკნოტი სავსე მაქვს მათი მისამართებითა და ვინაობებით. გვილოცავდნენ, იმედს გამოთქვამდნენ მიშიკოს მისამართით. ყველას მადლობელი ვარ, ოპოზიციისაც და უმრავლესობისაც. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით მათ მხარდაჭერას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიშიკოს ეს საპასუხისმგებლო პოსტი მიანდეს.

ქალბატონი მარინე ფიქრს მიეცა, ცოტა ხნის შემდეგ კი განაგრძო:

— როგორც, ალბათ, ყველა დედა, მეც ჩემი შვილების ცხოვრებით ვცხოვრობ, მათით ვსულდგმულობ. ვცდილობ, ჩემს შვილებს დედობაც გავუწიო და უმამობაც არ ვაგრძნობინო, თუმცა, უნდა გითხრათ, მათ პირად ცხოვრებაში იშვიათად ვერევი, ვიცი, დამოუკიდებლები არიან და არასოდეს ვზღუდავ. აი, თუნდაც, როგორ განვიცდიდი მიშიკოს დაოჯახების პრობლემას, მაგრამ მისთვის ეს არასოდეს მიგრძნობინებია, როცა გავიგე მისი გადაწყვეტილება, სიხარულით ცას ვეწიე.

საუბარი გაგვიგრძელდა. ვათვალიერებდი მათ ოჯახში თითქმის კულტად ქცეულ ალბომებს და ასე მეგონა, მათი ოჯახური გარემოსა და შინაური ატმოსფეროს თანამონაწილე და თვითმხილველი ვიყავი.

აი, საიდან მოდის თურმე მიხეილ მაჭავარიანი.

აქვე გთავაზობთ ინტერვიუს საგადასახადო შემოსავლების მინისტრთან, რომელიც ისევ დედის — ქალბატონ მარინე მდინარაძის დახმარებით შედგა.

* * *

— ბატონო მიხეილ, რა გზა განვლეთ სკოლის მერხიდან მინისტრობამდე?

— დავიბადე 1968 წელს, თბილისში, დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა, ვიმსახურე საბჭოთა არმიის რიგებში. ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

შემდეგ დაიწყო ცნობილი მოვლენები თბილისში. მე რუსთაველის ქუჩაზე ვცხოვრობ და ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა. 91-92 წლების მოვლენებში და მით უმეტეს "თბილისის ომში" მონაწილეობა არ მიმიღია, რადგანაც მიმაჩნდა, რომ ეს იყო არასწორი ომი. ჩემი თაობის ბიჭები ერთმანეთს ესროდნენ მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებების განსხვავების გამო და ეს პრობლემა იარაღით არ უნდა გადაწყვეტილიყო.

1993 წელს კი, როდესაც ყველაფერმა გაცილებით ფართო მასშტაბები შეიძინა და მთელს საქართველოს მოედო, ამის აღსაკვეთად შეიქმნა მოქალაქეთა კავშირი. მე გადავწყვიტე, რომ ჩემი, თუნდაც უმნიშვნელო წვლილი, შემეტანა ამ პროცესების შეჩერებაში. მე და ჩემმა მეგობრებმა ერთად შევქმენით მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი.

1995 წელს სმკ-ს პარტიული სიით გავხდი პარლამენტის წევრი, ცოტა ხანში, პარტიის თავმჯდომარისა და ზურაბ ჟვანიას მხარდაჭერით — სმკ-ს გენერალური მდივანი.

...სულ ეს არის ჩემი გზა სკოლის მერხიდან მინისტრობამდე. თუმცა, იყო არჩევნებისათვის მზადებები, გამარჯვებები, იმედგაცრუებებიც...

— ყველას რაიმე აქვს სახსოვარი ანუ "რაც დავიწყებით არ იბინდება".

— ასეთი მოგონებები ძირითადად ჩემს ბავშვობას უკავშირდება. მე ნამდვილ თბილისურ ეზოში გავიზარდე. ეს იყო ეზო, სადაც არ არსებობდა არც ენობრივი, არც ეროვნული ბარიერები, სადაც ყველა ერთმანეთის პრობლემით ცხოვრობდა.

ჩვენს სახლში ხშირად იკრიბებოდნენ დედაჩემის და მამაჩემის მეგობრები. მამას კი ხშირად დავყავდით ექსპედიციებში, ნაბიჯ-ნაბიჯ გვაქვს შემოვლილი მთელი საქართველო.

— საიდან მოდიხართ და საით მიდიხართ?

— მე ჩემი წინაპრებიდან, ჩემი ოჯახიდან მოვდივარ, სადაც შრომა, პატიოსნება და ურთიერთპატივისცემა უმთავრესი ფასეულობები იყო...

საით მივდივარ? მე მინდა პირნათელი მივიდე იქ, საითაც მივდივარ. მინდა, არ შემრცხვეს ჩემი ხალხის, საკუთარი შვილის წინაშე, როდესაც მკითხავს, რა გავაკეთე სამშობლოსათვის?! მინდა ჩვენს შვილებს ისეთი ქვეყანა ჩავაბაროთ, იგივე ტერიტორიებით, რაც ჩვენმა მამებმა დაგვიტოვეს, წელგამართული ეკონომიკითა და შესაბამისად ცხოვრების კარგი პირობებით, რომ დაიმკვიდრონ საზოგადოებაში საკუთარი შესაძლებლობებისა და შრომის შესაფერისი მდგომარეობა.

— ფაქტორები, რამაც თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა.

— ალბათ, ბევრია ასეთი ფაქტორი... გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი... თუმცა ვთვლი, რომ დღესაც ჩემს გვერდით უამრავი ადამიანია, ვისი გონებრივი შესაძლებლობები არა მარტო პატივისცემას, არამედ აღფრთოვანებასაც იმსახურებს.

ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია ჩემთვის ასეთი ადამიანები არიან.

და, რა თქმა უნდა, ჩემს პედაგოგებს, ლექტორებს, ნათესავებსა თუ მეზობლებს ჩემს ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაუვლიათ.

— რა იყო თქვენთვის მინისტრობის პოსტის შემოთავაზება?

— პირველ რიგში უზარმაზარი პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ნდობაც. გულწრფელად გეტყვით, მინისტრობა ნამდვილად არ მინდოდა. ჩემთვის უფრო მეტად მომგებიანი პოლიტიკური ქულების დასაწერად პარლამენტის ტრიბუნიდან განცხადებების კეთება იქნებოდა, თუმცა ვთვლი, რომ თუ პოლიტიკაში ხარ, პასუხისმგებლობას არ უნდა შეუშინდე და უკან არ უნდა დაიხიო, რადგანაც დღეს აქ, ეკონომიკაში წყდება მთელი საქართველოს ბედი. თუ დავმარცხდებით, საქართველოც დამარცხდება.

— რა არის პრიორიტეტული თქვენს საქმიანობაში და როგორ აფასებთ გზის დასაწყისს?

— პრიორიტეტი საგადასახადო სისტემის მოწესრიგებაა. მე შეგნებულად არ დავიწყე ბრძოლა პერსონალიების წინააღმდეგ, რადგანაც ვთვლი, რომ ის მდგომარეობა, რაც საბაჟო-საგადასახადო სტრუქტურებშია, სისტემის ბრალია.

ეს სამსახურები თავის დროზე ასრულებდნენ საკუთარ ფუნქციებს, მაგრამ დღეს ვეღარ პასუხობენ დროის მოთხოვნებს. ამიტომ აუცილებელია სისტემის მოწესრიგება რეფორმების გზით.

— ვინ გიდგათ გვერდში, ვის მხარდაჭერას ითხოვთ?

— გვერდში მიდგას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტი, უმთავრესი კი მაინც მოსახლეობის მხარდაჭერაა.

რადგანაც თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. გადასახადი არ არის არც იძულებითი, არც ძალადობის ფორმა. ეს არის სოლიდარობის გამოცხადება შენს მეზობლად მცხოვრები პენსიონერისადმი, განათლების სისტემისადმი, ჯარისადმი და საერთოდ სახელმწიფოებრიობისადმი.

დროა, გავაცნობიეროთ, რომ საქართველოსათვის ასე უჩვეულოდ მომრავლებული მათხოვრები, მაწანწალა, უსახლკარო ბავშვები ჩვენი საზოგადოების ბრალია, ჩვენი ბრალია, ჩვენი უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი ამაში გადასახადების დამალვით და კონტრაბანდით, ყველას, ძალისმიერ თუ არაძალისმიერ სტრუქტურას. ეს ჩვენი დიდი სირცხვილია და ამას უნდა მოვერიოთ.

— "ცხელი ხაზი" ალბათ, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში გასატარებელი რეფორმების ერთ-ერთი სახეა, სხვა სიახლეებზე რას გვეტყვით?

— "ცხელი ხაზი" არის საშუალება, მოსახლეობამ საკუთარი წვლილი შეიტანოს საბაჟო-საგადასახადო სისტემაში გამეფებული კორუფციის დასამარცხებლად.

ჩვენ დავიწყეთ რეფორმა საგადასახადო სისტემაში. საბაჟოს რეფორმა კი სექტემბერშია დაგეგმილი.

— ახლა კი მცირე ლირიკული გადახვევა: რას ნიშნავს თქვენთვის "ფიქრებთან მარტო დარჩენა"?

— რა არის თქვენი გატაცება, ე. წ. "ჰობი"?

— რა ადგილი უკავია იუმორს, ერთი შეხედვით მკაცრი და შეუვალი მიხეილ მაჭავარიანის ცხოვრებაში?

— ფიქრებთან მარტო დარჩენა არის საშუალება, ავწონ-დავწონო, შეიძლება კრიტიკულადაც შევაფასო, პირველ რიგში საკუთარი ნაბიჯები და, რა თქმა უნდა, სამომავლო გეგმები.

მიყვარს ფეხბურთი, ბუნებაში მეგობრებთან ერთად დასვენება, თუმცა, სამწუხაროდ, ამისათვის დრო თითქმის არ მრჩება.

პრინციპში ვფიქრობ, რომ არც ისე მკაცრი ვარ. ადამიანში კი იუმორის გრძნობას ძალიან ვაფასებ.

— და ბოლოს, რითი ანუგეშებთ თქვენსკენ ნდობის თვალით მომზირალ ადამიანებს?

— ნუგეში უიმედო ადამიანს სჭირდება, საქართველოს კი ნამდვილად აქვს საფუძველი, ჰქონდეს მომავლის იმედი, თუმცა ამისათვის აუცილებელია, მთელმა ერმა მოინდომოს, იცხოვროს ნორმალურ სახელმწიფოში.

P.S. ვიდრე ჩვენი ჟურნალი დაიბეჭდებოდა, მიხეილ მაჭავარიანმა დაოჯახებაც მოასწრო და ივნისის გეგმაც შეასრულა, რასაც „დროშელები" გულმხურვალედ ვულოცავთ.

მიხეილ მაჭავარიანი მეუღლესთან

ვანიკო მაჭავარიანი მეუღლესთან

მიხეილი და ვანიკო მშობლებთან

მამუკა ცეცხლაძე

ნისლი ფიქრია ჯოჯოხეთისა

● "გამოთქმული ფიქრი ტყუილიაო" – დაუფიქრებლად ვერ დაიჯერებ ამას ადამიანი, მაგრამ თუ დაუფიქრდები, მართლა ასეა – გამოუთქმელი ფიქრია ფიქრი და ჭეშმარიტებაც, ცხადია, იმ გამოუთქმელშია, იმ ნისლში, რომელიც "ფიქრია მთებისა".

მთები, მოგეხსენებათ, არას ამბობენ, "დგანან და ელიან".

ბუნების ნაწილია ადამიანიც და მისი ფიქრიც ამიტომ ნისლია ისევე, როგორც მთებისა.

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, რადგან ყველაფერი, რაც ითქმის, მართლა ტყუილია, ჭეშმარიტი ის ფიქრია მხოლოდ, საიდანაც ეს თქმულია ამოზიდული.

"მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს", სხვები – ღმერთი მაწერინებსო – ამბობენ, კარგ მოლაპარაკეზე იტყოდნენ გურიაში – კარგი მთარგმნელიაო. პოეზიის, ხელოვნების არსებაც სწორედ ეს არის და ამაშია.

"ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი" – სრული უაზრობაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს "ტყუილი" იმ ფიქრში გვაბრუნებს, საიდანაც ჩვენ სულ სხვა, ერთი შეხედვით გაცილებით უფრო გასაგები და "მართალი" სიტყვები ამოვზიდეთ თავის დროზე და ქარსვე გავატანეთ ამიტომ იმ მარტის მომდევნო აპრილ-მაისებიც.

ვერც კარგი მთქმელები გამოვდექით და ვერც კარგი გამგონენი.

ახლა უარეს დღეში ვართ – "მუზები" ისე არ "მოგვდის", ვინმე თუ არ "წაიკუზა" ფარსაგად ჩვენს თვალწინ... "სოფლელი ბიჭის" არ გაიშვა არაფერიო, ვამბობთ – ქალაქელები ვართ, "რაც კარგები ვართ!" "ცვრიან ბალახზე ფეხშიშველებს" არ გაგვიკვლია და აღარც მამული ვიცით ამიტომ რა არის, აღარც დედამიწაა უკვე დედა, დედინაცვალი გვყავს და იმ დედინაცვლის ხელოვნურ მზეს ვფიცულობთ – დედაზე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, უფრო მდიდრულად, უფრო ლამაზად და ვიხიბლებით დაუფიქრებლად.

მთები კი "დგანან და ელიან", ჩვენი მთები, მთები მისტიკური საგიორგოსი, ანუ მიწათმოქმედთა ქვეყნისა.

"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" – კი არ ჩამოვიდნენ, ჩამოიყვანეს. შედეგი? ახალგაზრდა ანზორ აბულაშვილის ერთი უჩუმარი სტრიქონი მაგონდება: "მე ერთ პატარა სოფელს დავაკლდი და ამ დიდ ქალაქს ვერ მივემატე". ჩუქჩების ტრაგედიაც ეს არის – აჰყარეს თავიანთი სამკვიდრებელიდან და ყველას დიდ ქალაქებში მოუყარეს თავი, წამოვიდა და წამოვიდა მერე ანეკდოტები, მუცელი ხელით ეკავა მთელს სსრკ-ს. ჩვენ ჯერ ხევსურებს ვუსადაგებდით ამ ანეკდოტებს, ამ ბოლო დროს კი სვანებს ვუსადაგებთ. ვტყუით თან – "მთას დაუბრუნდა მთიელიო". დაბრუნებულებისა რა მოგახსენოთ – ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი, თუკი მართლა დაუბრუნდა ვინმე ჩვენს მთას, სასიკეთოდ თუ დაუბრუნდა, მაგრამ პირში ვარდის წყალი უნდა გამოვივლოთ უეჭველად და ისე მოვიხსენიოთ ყველა, ვინც ჯერ კიდევ გვეგულება იქ (და სხვაგანაც ყველგან – ჩვენი მთისა თუ ბარის სოფლებში) ჩვენდა იმედად და სასოებად. უპირველესად დალის ხეობას ვგულისხმობ, მაგალითად, კონკრეტულად ჩვენს დღევანდელ შემთხვევაში.

თავისუფლება თუა, უწინარეს ყოვლისა, სიტყვისა უნდა იყოს, ცხადია და "ენაზე მომდგარ სიტყვასა სულ ყველას" რად არ უნდა თქმა, აღარ გვესმის. არადა, თუ კარგად ჩავუფიქრდებით, შეიძლება იმ დასკვნამდეც მივიდეთ, რომ არცერთს არ უნდა თქმა – "ყველა თვალსაზრისი მცდარიაო" – წერდა, მაგალითად, პოლ ვალერი, ანუ – "გამოთქმული ფიქრი ტყუილიაო" – ამაზე ფიქრობდა ისიც.

ტყუილსაც გააჩნია, რა თქმა უნდა, – ერთია, როცა "იცი, რომ არაფერი არ იცი", მეორეა – როცა გგონია, რომ იცი ყველაფერი. აი, როცა ყველას ასე ჰგონია, რომ ყველაფერი იცის, მართლა აღარ იცის აღარავინ არაფერი. გამოთქმული ფიქრი გამოუთქმელსაც ამარტივებს და აწვრილმანებს – "ზარბაზნების ქუხილში მუზები დუმდებიან."

ომში კი მეომრის თვალსაზრისია, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი. გამოთქმული ფიქრიც სხვა არა არის რა თუ არა მეომრის თვალსაზრისი.

აი, ამ როყიოდ გამოთქმული, ყმაწვილივით ლამაზი ფიქრით იწყება ყველა ომი, მისით სულდგმულობს და მისითვე მოიგება, თუ მოიგება.

"რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია," რა თქმა უნდა, მაგრამ იმას, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი იცის, ნგრევა ეხერხება მხოლოდ და შენება არ შეუძლია. სიყვარულის სახელითაც ანგრევს, ცხადია, როცა ანგრევს, მაგრამ თავად სიყვარულს ხდის ამ დროს შეუძლებელს, შენება კი უსიყვარულოდ არ გამოდის.

პროფესიონალიზმიო, რომ ვამბობთ, ცხადია, დიდად საინტერესო რამ არის ეს, მაგრამ რა ჰქვია იმას, სიყვარულს რომ პროფესიად გაიხდის ადამიანი? თავისუფალი სიყვარული რაღაა? თუ გიყვარს, რანაირად შეიძლება იყო "თავის უფალი", ან რა თავში იხლი ამ შენს "თავის უფლებას"?

შენ რომ უყვარხართ, ეს არის, როგორც ჩანს, თავისუფლება და შენების პრერაგატივაც, ცხადია, იმას ეკუთვნის და იმისია, ვისაც უყვარხარ. მშენებელს კი, შემქმნელს, შემოქმედს და, ესე იგი, "ღმრთის ხატს", ანუ იმას, ვისაც უყვარხარ, პატივი უნდა სცე.

"პატივი ეც მამასა და დედასა შენსაო" – უწინარეს ყოვლისა, შვილის აი, ამგვარ "თავის უფლებას" გულისხმობს და ზღუდავს.

("დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, მიტომაც წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა").

აი, ამ "თავის უფლებიდან" იწყება პროფესიონალიზმი სიყვარულში, ანუ გაფუჭება იმისი, რაც ღმრთისაგან კეთილია (ანუ გაკეთებული) და ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფი გახლავთ.

აქედან იწყება კორუფცია ადამიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო სიტყვა ყოველთვის მშობლიურზე უფრო ლმობიერია, რადგან ბოლომდე არ გვესმის მისი შინაარსი. კორუმპირებული ის არის, ვისაც ქართულად გაფუჭებული კაცი გვიქვია, თუ გვიქვიოდა და ახლა აღარ გვიქვია.

ომი აფუჭებს ადამიანს, ამარტივებს და აწვრილმანებს მის ფიქრს.

არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ ხმა გამოვიდა მაშინ ასეთი და უეჭველად დიდი სიმართლე ითქვა იმ ჭორში, თუ ეს ჭორი იყო — რეაბილიტაციის მერე ლევან გოთუასათვის კათალიკოსობა შეუთავაზებიათ თითქოს, შორს დაუჭერია ლევან გოთუას — მე იმდენი უბედურება მაქვს ნანახი, რომ ჩემი მღვდლობა არანაირად არ შეიძლებაო.

მეომარი, "ომგადახდილი" კაცი იყო ლევან გოთუა — ბანაკში პაპიროსის კოლოფების ნაგლეჯებზე დაუწერია "გმირთა ვარამი".

წამებული და მოწამე ის იყო თუ იყო, მაგრამ აი, მღვდლობის უფლება ვერ მისცა და არ მისცა თავის თავს.

პრეზიდენტობას მოინდომებდა თუ არა, არ ვიცი და ვერ მოგახსენებთ.

წერით კი წერდა ყოველთვის და გამოუთქმელი ფიქრების ნისლში გალია თავისი წუთისოფელი.

იმას, ვისაც "აკაკის ვერ ვაჩვენებთ", ვერც ლევან გოთუას ნაფიქრალს შევკადრებთ, ცხადია, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიკითხოთ ხანდახან, რას გვაჩვენებს და რას გვკადრებს ის ჩვენ?

იგივე პოლ ვალერისთან, მაგალითად, არაფერი გვექნებოდა ალბათ საბოდიშო "გარემოების საყვირის" გამო — (სწორედ პარიზში დადგა თავის დროზე ნობელის პრემიაზე აკაკის შემოქმედების წარდგენის საკითხი) — მაგრამ დღესდღეობით თურმე სირცხვილით ვერსად ვერ გავამხელთ, რომ ჩვენს პოეტს ასეთი "სოფლური" აზრები მოსდიოდა თავში: "ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანაო".

რა ხატი, რის სახატე, ტყუილია ყველაფერი, ცივილიზებული სამყარო ამას ვერ გაიგებსო. ჩვენი კარგი პრეზიდენტიც, სამწუხაროდ, იმ თაობას ეკუთვნის, ვისაც ამგვარი ტყუილებისა სჯერაო.

ვაი, ჩვენს მოსწრებას, თუ მართლა მარტო ჩვენი პრეზიდენტის თაობას სჯერა დღეს ჩვენში ამგვარი "ტყუილებისა" და ცივილიზებული სამყარო ამას ვერ გაიგებს, მაგრამ იქნება არც ისე ცუდად იყოს ჩვენი და იმ ჩვენი ცოდვით სავსე ცივილიზებული სამყაროს საქმე, როგორც ჩვენ გვგონია?

ქართულს ის ებღაუჭება, ვინც უცხო ენები არ იცისო?!

რა მოგახსენოთ — უცხო ენას ადამიანი მხოლოდ იმ მოცულობით შეიძლება დაეუფლოს, რა მოცულობითაც თავისი დედა-ენა იცის, ანუ რა მოცულობითაც სჭირდება მას საერთოდ ენა. ჩვენს ბაჩანა ბრეგვაძეს, მაგალითად, თავისი არც უცხო ენების ცოდნა აკმაყოფილებს და არც ქართულისა, მეტი სჭირდება და იმიტომ.

ენამ დავიწყებაც იცის, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რა მოცულობით ფლობდი თავის დროზე იმ ენას, რომელიც გავიწყდება.

ილიასი და აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის... რუსთაველის მცოდნესა და მეტნაკლებად გამგებს ქართული ასე იოლად არ დავიწყდება.

შვილიშვილი რომ ბაბუას ჭკუას ასწავლიდეს და ბაბუამ უთხრას — შენ რომ ახლა იცი, შვილო, იმდენი მე უკვე კარგა ხანია, რაც დამავიწყდაო, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ცხადია, ბაბუა იქნება ყოველთვის მართალი.

ბაბუა ბაბუაა და რაღაც-რაღაცები შეიძლება მართლა დაავიწყდეს, მაგრამ აი, შვილიშვილს თუ დაავიწყდა, მაშინ არის ცუდად საქმე.

ზოგს დედა-ენის ცოდნა არ აკმაყოფილებს დღეს ჩვენში, რადგან მეტი სჭირდება, ყველას ერთად კი — ის შემოსავალი, რაც დედა-ენის შემყურე და მოიმედე ჩვენი ხალხის უმრავლესობას გვაქვს.

ნეკრასოვისა არ იყოს, მოდი ესეც ვიკითხოთ — "ვინ ცხოვრობს დღეს საქართველოში კარგად", ანუ შედარებით კარგად და, ესე იგი, ჩვენს სამშობლოზე უკეთ (პატიოსან მოქალაქეებზე მოგახსენებთ, კორუმპირებულებს არა ვგულისხმობ)? ის, ვინც "სრულყოფილად", ანუ მისთვის საჭირო მოცულობით იცის ინგლისური, ან გერმანული.

უცხო ენების ცოდნას რა სჯობია, მაგრამ ეს ვითარება თუ ქართული ენის სასარგებლოდ არ შეიცვალა, დედა-ენა უეჭველად დაავიწყდებათ სულ მალე ჩვენს შვილიშვილებს, უცხო ენებზე კი მარტო ის ეცოდინებათ, რაც დედინაცვალმა იცის.

ბევრიც რომ მალო, ჭირი თავის თავს მაინც ვერ დამალავს — იმედის თვალით აცქერდება გაჭირვებული კაცი თავისივე ბედის მოზიარეს, მაგრამ სარგებელი თუ ვერა დაინახა რა მის თვალებში, აითვალისწუნებს და აღარ უნდა მერე იმისი არაფერი, ხოლო იქ, სადაც სარგებელია, ბედიც სხვაა და იმ ბედით მოხიბლული საკუთარ ბედს იწყევლის უბედური, იმ სარგებლიან ბედს შენატრის და ეპოტინება.

მეტისმეტი ხომ არ მოგვდის ამ ბოლო დროს ეს ბედის სამდურავი? შესაძლებელზე და გასაგებზე მეტად ხომ არ ავითვალისწუნეთ ერთიმეორე? იქნება ყველა იმას ვედრებით, ვისი ბედითაც ვართ მოხიბლულნი და ერთიმეორეს ვეღარა ვცნობთ ამიტომ?

არასოდეს დამავიწყდება — ახალგაზრდა საბჭოთა ქართველებს პარიზელი ქართველები გვმასპინძლობდნენ, ვერიდებოდით, ცხადია, ფიქრის გამოთქმას, ისინიც ერიდებოდნენ, ერთიმეორეს ვერიდებოდით ერთი სიტყვით და ვერა და ვერ ავაწყვეთ საუბარი.

ბოლოს მასპინძელთაგან ერთ-ერთმა, ჩვენს შორის ყველაზე უფროსმა, გულღიად შემოგვღიმა და ბრძანა: არა, ბატონებო, ჩვენ დღეს ერთიმეორესთან ვერ ვისაუბრებთ გასაგები მიზეზის გამო, (დღემდე არ ვიცი დანამდვილებით, იჯდა თუ არა იმ დღეს ჩვენს შორის ფიზიკურად ეს "გასაგები მიზეზი") მოდი ვიმღეროთო.

ვიმღერეთ, მთელი საღამო ვიმღერეთ, სიტყვა არ გვითქვამს სხვა ერთმანეთისათვის და მივხვდით, რომ ყველას ძალიან, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. დაუვიწყარი საღამო გამოვიდა.

სხვა გამოსავალს მე ვერც ახლა ვხედავ. უნდა ვიმღეროთ, გამოუთქმელი ფიქრი უნდა გავუზიაროთ ერთიმეორეს, ვინძლო მართლა გავმთლიანდეთ ამ სიმღერაში ისევე, როგორც ამ ორმოცი წლის წინათ გავმთლიანდით პარიზში საბჭოთა და ფრანგი ქართველები.

გვიჭირს, ყველას გვიჭირს, ამ გაჭირებამ თქვენი მონა მორჩილი ვერის უბნიდან ღრმაღელეში გადამასახლა ამ ზამთარს. გამოზაფხულდა, როგორც იქნა და ჩემი ახალი სახლის წინ, ჩემი ბინის ძველი მეპატრონის მიერ ოდესღაც დარგულმა გარგლის ხეებმა მწვანე ნაყოფი გამოისხეს. მთელი უბნის ბავშვები იმ გარგლის ხეებზე იყრიან თავს, უმწიფარ გარგალს მიირომევენ და — ყურებს არ დავუჯერე პირველად — "გიხაროდენო" — მღერიან. მეც ძალიან გამაღიზიანა, მართალი გითხრათ, თავიდან ამ სიმღერამ, მაგრამ აი, ამ ბავშვების ნამღერი სულ სხვაა — უნდა გინდოდეს, როგორც ჩანს, რომ გაიხარო, თუ არ გინდა — ვერ გაიხარებ.

ტყუილით და ტყუილ-ტყუილით, ძალით და ძალის ძალით ჰარმონიული სსრკ სტალინის მერეც დიდხანს ეწინააღმდეგებოდა (და როგორც ახლა ირკვევა — საკმაოდ ეფექტურად) იმ გულახდილ და უკან მოუხედავ დისჰარმონიას, რაც "ევროპის დაისს" მოჰყვა, როგორც, უწინარეს ყოვლისა, დასავლური რეალობა. სამოციან წლებში ჩვენში უეჭველად ამისი ნაძალი გახლდათ ორი, პირდაპირ მისამართს აცდენილი და ლიტერატურის სფეროში შემოჩიტებული პოლემიკა არქაისტებისა და ვერლიბრის თაობაზე. ცხადია, წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით აქ სადავო და საკამათო არაფერია და არაფერი იყო — ყველამ მშვენივრად უწყოდა და უწყის, რომ მთავარი "ნიჭია, ძამიკო, ნიჭი!" აი, საფიქრალი კი უეჭველად არის აქ და სულ სხვაა ეს საფიქრალი, საფიქრალი და არა საპოლემიკო.

"ვარდებისათვის კი არ ვიხრები, პალოებს ვაძრობ" — ვაფრენ, ისე მომწონს ეს სტრიქონი, მაგრამ... უბედურებაა ეს! ბედნიერება კი ის არის ჩვენი, რომ ჩვენ გვყავს დღეს პოეტი, რომელიც ასე მძაფრად განიცდის ამ ზოგადკაცობრიულ, უკვე ზოგადკაცობრიულ, დისჰარმონიას. იმედის სხივიც სწორედ აქ ჭიატებს, ამ განცდაში.

"სიყვარული არ იქნება ძალადა" და ვერც ჰარმონია იქნება, ესე იგი, ძალით, ვერც "ერთ წყალში შევალთ მეორეჯერ", ცხადია, მაგრამ მეორე მხრივ, გაუცხოება, რაკილა დასავლური, ანუ ცივილიზაციის თანმდევი მოვლენაა დღესდღეობით, ამიტომ კარგი კი არ არის?! სამწუხარო, დიდად სამწუხარო რეალობაა ეს და როგორმე იმას უნდა ვცდილობდეთ ყველა, რომ შეძლებისდაგვარად ავიცილოთ თავიდან, ან რაც შეიძლება ნაკლებად შევიხოთ.

ცივილიზაცია უეჭველად კულტურული ფენომენია, მაგრამ ცივილიზაცია და კულტურა ერთი და იგივე არ არის. ცივილიზაციის მონაპოვარი კულტურული კონტექსტიდან თუ ამოვარდა, იმ სურათს მივიღებთ "მაიმუნისა და სათვალის" ცნობილ იგავ-არაკში რომ არის დახატული. სათვალე, მოგეხსენებათ, ძალიან იოლად და უცბად შეიძლება გატყდეს, მაიმუნის გაადამიანება კი უსაშველოდ ხანგრძლივი პროცესია. ეს პროცესი თუ წინაუკმო შეტრიალდა, საათკენაც წავალთ (და მივდივართ უკვე კარგა ხანია — მას მერე, რაც "ღმერთი მოკვდა" თუ მოვკალით, ჩვენი ჭკუით), ხომ ცხადია.

კოსმოსიც შეიძლება შემოვიაროთ ცივილიზებულმა ადამიანებმა და ეს ჩვენი ცოდვით სავსე დედამიწაც გავხვრიტოთ ერთი პოლუსიდან მეორემდე, მაგრამ ვერსად ვერაფერს ვერ დავინახავთ მანამ, სანამ ჩვენს შორის ვერ ვიცნობთ და არა ვცნობთ ღმერთს, ანუ იმ ერთადერთ, ყოვლად საყოველთაო და ყოვლისმომცველ ჭეშმარიტებას, რომელიც "სიყვარული არს"!

თუმცა, მცდარია ალბათ ეს თვალსაზრისიც ისევე, როგორც ყველა სხვა თვალსაზრისი... ჩვენს გამოუთქმელ ფიქრთ გასართველად მოგახსენეთ მხოლოდ ის, რაც მოგახსენეთ.



● ასი წლის წინათ დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბევრმა ქართველმა შესაძლებელია არ იცოდეს, სად მდებარეობს სამურზაყანო". სამურზაყანოს მაზრას 1925 წელს ეწოდა გალის მაზრა, სამაზრო ცენტრს – გალის გამო, 1929 წლიდან – გალის რაიონი... გალი ამჟამად თითქმის მთელმა მსოფლიომ იცის.

გალის, როგორც დასახლებული პუნქტის, შესახებ არავითარი ცნობები არ არის დაცული „ქართლის ცხოვრებაში", არც ვახუშტი ბაგრატიონს აქვს იგი მოხსენიებული, თ. ჟორდანიას „ქრონიკებშიც" არაფერია ნათქვამი გალზე. მიუხედავად ამისა, გალი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია საქართველოში. 1934 წელს გალში არქეოლოგმა სნ. ზამიატნინმა იპოვა ქვედა პალეოლითური კაჟის იარაღები /ხელცული, წვეტანები, სახოკები/. ნაპოვნია გვიან პალეოლითური ხანის, აგრეთვე ნეოლითური კაჟის იარაღები, ხოლო სპილენძის ზოდების აღმოჩენა განვითარებულ ენეოლითზე მიუთითებს. გალის ტერიტორიაზე ნაპოვნია ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები, აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები და ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღები. შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის არსებობაზე ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩენილი კერამიკული მილები და კოშკის ნანგრევები მიგვითითებს...

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე/1654 წელი/ გალი გოგიელის სახელწოდებითაა აღნიშნული. გოგიელი ამ დროს სამეგრელოს სამთავროში შედიოდა: ტოპონიმ „გალის" წარმოშობა მეცნიერულად ახსნილი არ არის, ვარაუდობენ, რომ მეგრული ღალი რუსულად გალი არისო. ეს ვარაუდი არ უნდა იყოს სწორი.

სიტყვა „გალი" მეგრულად მოულოდნელად, უეცრად შეკრთომას ნიშნავს. გალი ძლიერ ემსგავსება აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმებს: ჯალი, ფალი, დალი, ფსკალი, აგრეთვე ჯგალი – სამეგრელოში. რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მე-17 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით ტოპონიმი გოგიელი შეცვლილიყო გალით... ჯერ კიდევ 1989 წელს აფხაზებმა მიიღეს დადგენილება გალისათვის ეწოდებინათ ალეკუმჰარა:

1840 წელს სამურზაყანოს ცენტრი ბედიიდან გადატანილ იქნა სოფელ ოქუმში. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან სამურზაყანოს მოწინავე საზოგადოებრიობამ დასვა საკითხი სამურზაყანოს ცენტრის განაპირა მხრიდან გეოგრაფიულ ცენტრში, სოფელ მეორე გალში გადმოტანის შესახებ. ამ საკითხს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია". /1902წ. N68. 29. მარტი/. „ივერია" მოუწოდებს მთავრობას და საზოგადოებას ცენტრის ოქუმიდან მეორე გალში გადმოტანის შესახებ. მართლაც 1906 წლიდან სამურზაყანოს უბნის /შემდეგ მაზრის/ ცენტრი გახდა მეორე გალი, რომელსაც გალი უწოდეს. კონსტანტინე მაჭავარიანი, რომელიც წარმოშობით ოქუმიდან იყო, თავის წიგნში სოხუმის შესახებ, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ცენტრი ოქუმიდან გადატანილ იქნა „ჭაობიან ადგილას, სახელდობრ სოფელ გალში"-ო.

1888 წელს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღძრეს საკითხი სოფელ მეორე გალში დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ.

მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით გადაწყდა სკოლის გახსნა სოფელ მეორე გალში. შემდგომ ეს სკოლა გადაკეთდა ორკლასიან სასწავლებლად... სკოლისათვის შენობის აგება დამთავრდა 1899 წელს /ამჟამად გალის პირველი საშუალო სკოლა/.

ორსართულიანი ქვის ორი შენობა /სკოლა და სასამართლო/, მთავარი გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებული ხის დუქნები ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნებისა, აი რა იყო გალის ცენტრალური ნაწილი 1925 წლისათვის.

1917 წლამდე გალს ერთი ექიმი და ორი ფერშალი ემსახურებოდა. ექიმი იყო იოსებ შავგულიძე, ცნობილი ფეხბურთელის შოთა შავგულიძის მამა. ათადგილიანი საავადმყოფო კერძო სახლში იყო მოთავსებული. 1925 წელს გალში აშენდა აგურის ქარხანა, 1930 წელს ჩაის ფაბრიკა. 1931 წელს გალი რკინიგზით შეუერთდა თბილისს.

1932 წლიდან გალი ქალაქია. 1926 წელს მოსახლეობა შეადგენდა 1431 კაცს, 1982 წელს – 16052-ს. უკანასკნელ ათეულ წლებში გალში აიგო კულტურის სახლი, რაიონული საავადმყოფო, საშუალო სკოლის სამი შენობა, ფოსტა-ტელეგრაფი, ადმინისტრაციული სახლი, კომუნალური სახლები. გალის ცენტრში აგებულმა ოთხ და ხუთსართულიანმა სახლებმა კიდევ უფრო დაამშვენეს ქალაქი.

გალი სამრეწველო ქალაქიც იყო. ქალაქში იყო ოთხი საშუალო, ორი მუსიკალური და საბავშვო-სამხატვრო სკოლა, არსებობდა სახალხო თეატრი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც აფხაზმა ბოევიკებმა გაძარცვეს და გაანადგურეს. გალის სცენაზე მაყურებელს მოუსმენია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერლებისათვის. უნახავთ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები, სოხუმის თეატრი ხომ ხშირი სტუმარი იყო. გალელებს მოუსმენიათ გენიალური გალაკტიონისათვის, გოგლა ლეონიძისათვის და სხვა პოეტებისათვის. 1962 წ. შეხვედრა მოუწყვეს კ. გამსახურდიას. შემოქმედ ადამიანებს უყვარდათ გალში ჩამოსვლა, რადგანაც იცოდნენ, რომ მათ სიხარულით, აღტაცებით შეხვდებოდნენ. გალის მოსახლეობა ქართული იყო. 1921 წელს გალში მხოლოდ სამი რუსი და ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალი

ლატვიელი ცხოვრობდა. გალს მრავალი სასახელო შვილი აღუზრდია სამშობლოსათვის.

გალის შესახებ შეიძლება ბევრი დაიწეროს. ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტს აღვნიშნავთ: მოხდა თებერვლის რევოლუცია. აი, როგორ აქვს აღწერილი რევოლუციის პირველი დღეები სამურზაყანოში გაზეთ „ერთობას" (1917 წლის 12 აპრილი. N2/. სტატიის სათაურია: „საერთო აღფრთოვანებამ სამურზაყანოშიც ჰპოვა გამოძახილი": „26 მარტი სამურზაყანოსთვის ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს გალში მიწვეულ იქნა ხალხი, რომ ფიცი მიეღოთ ახალი მთავრობისადმი ერთგულებაზედ... ჯერ გადახდილ იქნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. სიტყვით მიმართა ხალხს მღვდელმა ს. სვანიძემ. ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმა ბატონებმა ი. გეგიამ, კ. შარიამ, ე. გულუამ, შემდეგ ხალხმა მიიღო ფიცი.

აი, ამ დღეს მოხდა ის, რისი წარმოდგენაც ძნელი იყო ყველასათვის. ამ ზღვა ხალხთან თავისი ნებით გამოცხადნენ ის ძველი ყაჩაღები, რომლებიც მთელ სამურზაყანოს და სამეგრელოს შიშის ზარს სცემდნენ... მშვენიერი სანახავი იყო ეს ლომი ბიჭები /18 კაცი/ შუა მოედანზე გამოსულნი და მორცხვად თავდახრილნი. მათ განაცხადეს: ძველ მთავრობას თავს შევაკლავდით და არ დავნებდებოდით, თქვენ კი სიამოვნებით გნებდებით და ყოველივე გადაწყვეტილებას თუ გინდ თავის მოკვეთას, სიხარულით ვეგებებით. ხალხმა მიიღო რა მათი ვაჟკაცური მოქცევა მხედველობაში, აპატიეს ყველაფერი და მიიღეს საზოგადოების პატიოსან წევრებად". ასეთი რამ იშვიათად ხდება ცხოვრებაში.

1918 წლის 28 მაისს გალში, მთავარ მოედანზე შედგა სამურზაყანოელთა კრება, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი. გალს არ ახსოვს ამდენი ხალხის შეკრება. ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ, კოცნიდნენ: მიტინგის მონაწილეებს საქართველოს დამოუკიდებლობა მიულოცეს თბილისის წარმომადგენლებმა გრ. ცინცაძემ, გალელებმა ი. გეგიამ, ე. გულუამ, ვ. ქავჟარაძემ, ა. ზუხბაიამ, გრ. მიქავამ. არჩეულ იქნა სამურზაყანოს ერთობის გამგეობა.

1921 წლის 6 მარტს გალის მოსახლეობა ძლიერ აღელვებული შეხვდა. დილიდანვე დაბაში ისმოდა ხმები: მოდიან, მოდიან, მოდიან, ვიღაცამ დაიძახა: კი არ მოდიან, უკვე მოვიდნენო. დიახ, მოვიდნენ მეცხრე არმიის ნაწილები. გალსა და სამურზაყანოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ხალხი შეშინებული, უკმაყოფილო იყო. მხოლოდ ერთეულ ადამიანებს - ბოლშევიკებს უხაროდათ. შემდგომ წლებში იყო მიწების ჩამორთმევა, დაპატიმრებები – განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების /მენშევიკების/ და თავადაზნაურებისა. 1924 წლის აგვისტოში გალშიც იყო ავჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ისე, როგორც მთელ საქართველოში, აჯანყებულები აქაც დამარცხდნენ. აჯანყების მეთაური ვანო ხონელიძე დახვრიტეს. ერთ ღამეს ციხიდან გამოიყვანეს 30 პატიმარი დასახვრეტად. გზაზე ორი გაიქცა, უშიშროების უფროსი დაბრუნდა ციხეში, გააღებინა საკანი და ვინც პირველი მოხვდა ხელში, გამოიყვანა და დახვრიტა. აი, როგორი სამართალი იყო გალში 1924 წელს. რაკი ციხეში ვერ ეტეოდნენ პატიმრები, სკოლა გადააქციეს საპატიმროდ.

1928 წელს გალელ სტუდენტებს საქართველოს კომპარტიის ც.კ-ის პირველი მდივნისათვის – მიხეილ კახიანისათვის მიუციათ განცხადება, გალის რაიონი ქართულია, აფხაზეთს ჩამოაცილეთ და უშუალოდ თბილისს შეუერთეთო. კახიანს აფხაზეთის პირველი მდივნის გიორგი სტურუასა და მთავრობის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობასათვის დაუვალებია გალელებთან შეხვედრა. არა მარტო კლუბი, კლუბის ეზოც სავსე იყო ხალხით. სტურუა და ლაკობა აცხადებდნენ, აფხაზები და ქართველები ერთად უნდა იყვნენო. მაგრამ სტუდენტებმა შ. ხუბუტიამ, ა. მარხულიამ სამურზაყანოს ისტორიის, ეთნოგრაფიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს, რომ ლაკობა გააჩუმეს. ეზოდან ისმოდა ძახილი: არ გვინდა აფხაზეთიო. ბოლოს ლაკობამ განაცხადა: ჩვენ თქვენი აზრის გაგება გვინდოდა, თორემ საკითხი გადაწყვეტილია: კახიანი ელაპარაკა მოსკოვს, პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მიიღეს მითითება, გალის რაიონი რჩება აფხაზეთის ფარგლებში, ქართველები და აფხაზები ერთად უნდა იყვნენ, მათი დაცილება არ შეიძლებაო. ამის გაგონებაზე ხალხმა ამოიგმინა და უსიტყვოდ დატოვა დარბაზი.

სამამულო ომში ხუთიათასზე მეტი გალელი ღებულობდა მონაწილეობას, მათი ნახევარი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე ყველაფერი შეიცვალა. მარტო 1993 წელს გალის რაიონში აფხაზებმა უდანაშაულოდ 1200 კაცი დახვრიტეს, ათასობით სახლი დაწვეს, აფხაზ-ბოევიკებმა გალელებს სახლში არაფერი დაუტოვეს, ყველაფერი რაც მოეწონებოდათ, მიჰქონდათ.

აფხაზთა სისასტიკეზე ათასობით მაგალითის მოტანა შეიძლება. ჩვენ მხოლოდ ერთ შემთხვევაზე ვილაპარაკებთ: აფხაზ-ბოევიკთა შიშით ოჯახის უფროსმა 12 და 14 წლის გოგონები სახლის სხვენზე აიყვანა და იქ დამალა. მეუღლემ მეზობლის სარდაფს შეაფარა თავი და ამ დროს შემოიჭრა სახლში სამი „ბოევიკი". მარტო ოჯახის უფროსი მამაკაცი დახვდათ სახლში: - თქვენ შვილები სხვენზე გეყოლებათ დამალულიო – უთხრეს მათ, კიბე მოიტანეს და სხვენზე ავიდნენ. გოგონები შიშით ცახცახებდნენ: - აგერ ყოფილან ოქროები! – წამოიძახეს არამზადებმა, ბავშვები ჩამოიყვანეს და სამმა მხეცმა მამის თვალწინ გააუპატიურეს გოგონები. მათ ვერ გაუძლეს ასეთ ტანჯვას და ხელში შემოაკვდათ. ამის შემყურე მამა ჭკუიდან შეიშალა. „ბოევიკები" წავიდნენ და მეზობლის სახლს წაუკიდეს ცეცხლი. დედამ რომ მკვდარი შვილები ნახა, ჭკუიდან შეშლილი ქალი გაიქცა და მეზობლის ცეცხლმოკიდებულ სახლში ჩავარდა და თავი დაიწვა. ასე მოისპო გალის ერთ-ერთი უპატიოსნესი ოჯახი.

მჯერა, მკითხველს არსად წაუკითხავს ასეთი შემზარავი ტრაგედია – გალის სინამდვილეში კი მოხდა! ვაპატიოთ ეს ყველაფერი აფხაზ-ბოევიკებს და ვიმახოთ, ჩვენ მეგობრები ვიყავითო? ჯერ დამნაშავე აფხაზები უნდა დაისაჯონ და მეგობრობაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ლტოლვილებად აქციეს გალის ქართული მოსახლეობა. თურმე უფრო უარესი ელოდა გალელებს – 1998 წლის 20-დან 26 მაისის ჩათვლით. ეს იყო ჟამი მკვლელობებისა, ძარცვისა, ხანძრებისა, სრული გენოციდისა. მკვლელობა, ძარცვა, სახლების დაწვა დღესაც გრძელდება.

გალი – ეს პატარა ქალაქი – აფხაზმა-ბოევიკებმა ნანგრევებად აქციეს, მრავალი მისი შვილი წამებით მოკლეს. ტყვია და ცრემლი ბატონობს უკანასკნელი წლების მანძილზე ამ ლამაზ ქალაქში.

მხოლოდ ერთი რამ გვამხნევებს, რომ გალელებს შორის არ ყოფილა ლაჩარი, გამცემი, მოღალატე.

გვჯერა, რომ აფხაზი სეპარატისტები მალე წავლენ ისტორიის არენიდან და კვლავ აღსდგება ჩვენი ქალაქი, ჩვენი რაიონი, ჩვენი რესპუბლიკა.

ვალერიან ზუხბაია

პოეზია

ოთარ შალამბერიძე

*

მაშინ ჩამქოლეთ, — ბორგავს ქარი უაღვირ-დეზო, —
ჩემი გავარდნა ცხრა ულაყი თუ არ ღირდესო.
*

აყვავებულ ატმებს ქარები მოტირიან:
ხანძარი! . . არიქა! . . — იწვისო ფლოტილია . . .
*

ო, პოეზიის წყალდიდობა რომ არსებობდეს,
ზღვად მოგაქცევდი მთელი ქვეყნის რომანსეროებს . . .
*

ორძალებს მუშტებს ნუ უღერებთ ისარ-ჯიდებად, —
ისინი მათთვის იწერება, ვისაც სჭირდება.
*

ჩემ სულს, ჩემ ფიქრსაც აკლიაო მწვანე გვირისტი, —
ამბობს ბუნების გულმოდგინე პანეგირისტი.
*

რა უფლება მაქვს ჩემი რწმენა თავს მოგახვიო,
მაგრამ სიმართლის დავალებით რატომ ავყიო?
*

ზევით და ქვევით . . . მარჯვნივ და მარცხნივ . . .
ღმერთმანი, — პირჯვარს იწერდა ცაცხვი . . .
*

მეტაფორებში (თუ მკითხავთ) არ ეყოლება სწორფერი
ამ ორსიტყვიან სასწაულს: "ბინდისფერია სოფელი" . . .
*

სიყვარულმა სიხარული იცის, მარა,
სინანულმაც აკი მისგან იცისმარა?!
*

ვის რად უნდა ეს ბაღი და პეიზაჟი,
ხვალის დღეც თუ არ მწიფდება დღეისაში?!
*

გზა გაიკვლიეს ერისაკენ (ვინ იფიქრებდა?) —
ჩემგან ხმობილმა "ორძალებად" — ფილიპიკებმა.
*

ქალს მაჯისცემას ვინც უსინჯავს, ვიცი, მოცდება, —
რაღა აზრი აქვს, დაითვალო ზღვის მიმოქცევა?!
*

ჩვენ ჩვენი ზღაპრით (ვინ არ იცის) უმცროს ძმას ვაქებთ,
მაგრამ იქ, განთქმულ "უფროს ძმებში" რაფრაა საქმე?!
*

მინდა ვიცოდე, დუმილს ვინ თვლის თანხმობის ნიშნად? —
უთუოდ იგი, ვისაც ენა ჩაუგდო შიშმა . . .
*

ჩემ ჩრდილს უსმინეთ, რა მითხრა, — ყურიო, ცოტა მომიწი,
არარას რატომ მეძახი, ვისი ჩრდილი ვარ, ხომ იცი?!
*

სიყვარული სუროსა ჰგავს, ვაი, სულო —
ცივ ქვაზედაც ძალუძს ნატვრა აისრულოს.

*

მარცხი არაა დასასრული (ეს უნდა მეთქვა) —
რადგანაც მასში კიდევ ისმის სიცოცხლის ფეთქვა.
*

ჩემში არ არის არც დემონი, არც ანგელოსი,
კენესაა მხოლოდ სვედავსებულ საქართველოსი! . .
*

დრომ ბევრი ბრძნული აზრიც გაცვითა,
მათ შორის ესეც: "კაცი კაცითა" . . .
*

სხვას რომ ატყუებ და ცმუტიობ, როგორც ტინგიცა,
ვინც შენ გატყუებს, დააფასო უნდა იგიცა.
*

რაკი წერ, უნდა გიყვარდეს, სხვა ყველაფერი უარჰყავ!
რა პოეტობა გიშველის, შეყვარებული თუ არ ხარ?!
*

ბოლო დროს ხშირად ვიმეორებ "პოლიგამიას",
ალბათ სიბერის ხუშტურია, მგონი, გამიარს . . .
*

ამბობენ, თითქოს სიმდიდრე არ შეშვენისო შემოქმედს,
ის შემოქმედი მაჩვენა, რო სიღარიბე შვენოდეს.
*

ფოთლის მწვანე კლავიშებზე გალობს წვიმა,
ყრმობა ხომ არ გაიხსენა დალოცვილმა? . .
*

მრუდედ ჩახრილი ბირკის მესმა თითქოს ღაღადი,
გავმართე ის და მომეჩვენა: თვითონ ავმაღლდი . . .
*

სახლი, რომელშიც არ ჰკიდია არცერთი ხატი,
არ არის სანდო, შეაქციე ზურგი და წადი.

არსათქმელი სიტყვა

ვალერიან ჩეკურიშვილი

ბიჭს ეჩქარებოდა.

სადარბაზოს კიბე აირბინა, მეოთხე სართულზე შეჩერდა და ზარი დარეკა.

კარი დედამ გაუღო.

— მოდი, დედა! მოდი! — სახეზე ღიმილგადაფენილმა ალერსი შეაგება.

ბიჭმა ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, მაშინვე გადაეხვია, კოცნა დაუწყო, მერე ჩაეხუტა:

— შენ გენაცვალოს შენი დედა! რად ირბინე, რად დაიღალე?

— მამა სად არის?

— შინ არის.

— რა იყო, ბიჭო, რამ აგაფორიაქა? მოხდა რამე? — ჰკითხა მეორე ოთახიდან გამოსულმა მამამ. ბიჭმა მამასაც აკოცა.

რაც ლევანი წამოიზარდა, მამა-შვილი ერთმანეთს აღარ კოცნიდნენ, ყოველთვის კაცურად ლაპარაკობდნენ და ახლა უკვირდა გაღიმებულ ქალს.

მამას ეუცნაურა ბიჭის ასეთი აფორიაქება.

— დედა, გამომიტანე ჩემი სამხედრო ფორმა. ჩქარა, ჩქარა! — დაჯდა და მილიციის კურსანტის ფორმის გახდა დაიწყო.

ბიჭს ის ფორმა ძალიან უხდებოდა.

— მოიცა, მოიცა, რას აპირებ? — ჰკითხა მამამ.

— მეჩქარება, მივდივართ.

— სად, სად მიდიხარ?

— დაბლა კურსელები მელოდებიან.

— სად მიდიხარ-მეთქი?

ბიჭმა თავი ასწია და მამას მოღუშულ სახეში შეხედა.

— აფხაზეთში. ხომ იცი, იქ რაც ხდება?

— კი ვიცი, მაგრამ...

— ჰოდა, იქ მივდივართ.

— შენ ხომ ახლა ჩამოხვედი სამაჩაბლოდან, ხომ იბრძოლე იქ?

— მერე?

— ათი დღით გამოგიშვეს, დაისვენეო. ჯერ სამი დღეც არ გასულა, სად გარბიხარ?

— მამა, რა დროს დასვენებაა?

ბიჭი სამაჩაბლოდან ჩამოყოლილ სამხედრო ტანსაცმელს ფართიფურთით იცვამდა.

— შვებულება ჩაამთავრე და მერე წადი.

— ქვეყანას ახლა უჭირს.

— ჰო, დედა, მამა მართალს გეუბნება. დაუჯერე, დაამთავრე შვებულება, დედა გენაცვალოს და მერე წადი, ომი ერთ კვირაში ხომ არ დამთავრდება — შეევედრა ქალი.

— დედა, კურსელები ერთად მივდივართ. მერე მარტო ხომ არ წავალ.

— გამოგიძახეს? — ჰკითხა გაჯავრებულმა მამამ.

— არა, ჩვენ თვითონ მოვილაპარაკეთ.

— ჰოდა, ვერ წახვალ!

— როგორ ვერ წავალ? — ბიჭმა ახლა თვალებში შეხედა.

შვებულება მოგცეს ოფიციალურად, დაისვენეო. ვერავინ დაგაძალებს. ვერ წახვალ! მორჩა და გათავდა!

— მამა, რატომ მტუქსავ? არაკაცურ საქმეზე ხომ არ მივდივარ. შენ კიდეც უნდა გეამაყებოდეს. ჩემი ქვეყნის წინაშე ახლა თუ არ მოვიხადე კაცური ვალი, მაშ როდის?

— ბიჭო, აბა, კარგად მომისმინე.

— მამა, კი მოგისმენ, მაგრამ შინ მაინც არ დავრჩები, ბიჭებს არ ვათქმევინებ, ლევანი დედიკომ და მამიკომ არ გამოუშვესო.

— კაცო, სამაჩაბლოში ხომ იბრძოლე?

— მერე? ახლა აფხაზეთსაც უჭირს!

ბიჭი ჩაცმას მორჩა, ხალათის საყელო გაისწორა, დედას გადაეხვია,

ცრემლიანი თვალები ამოუკოცნა.

ახალი ორძალები

*

დაღლილ გულიდან ეს-ეს არის მივიღე ცნობა, —
ვიკმარებდიო ჩემს ასაკში ერთ მტკიცე გრძნობას . . .
*

ძველი წისქვილი შემცბარივით ბაგბაგებს ხევში, —
პაწია სოფლის ბებერ გულთან საუბარს შევრჩი . . .
*

ნუთუ დროებით შემფრფინვიან, ნუთუ დროებით,
ჩემი აპრილის ცვარჩამდგარი ქუთუთოები?!
*

თუ მეგობრობა სიყვარულის არის ტოლფასი,
ყველა მესამე ზედმეტია მეგობრობაშიც.
*

რა ამბავშია ბაქია ქარი, —
ბაღი გახადა ნაქიაქარი . . .
*

ძალზე ხომ არ ვიბერებით, —
გახლავართო იბერები?!
*

ზოგჯერ სიკვდილიც კაცის ნატვრას გაიწილადებს, —
აგერ, მევაზეს უმეგზურა ვაზის ძირამდე . . .

*

კვირტები ღამით სკდებიანო? — ვიხელთე ჟამი,
არ გაულია (ჩემ ჯინაზე) არცერთ კვირტს ჩქამიც . . .
*

მამულო ჩემო, შენს სიყვარულს ნუ დამამდლი,
ჯერ ხომ ადრეა, რომ ავიკრა გუდა-ნაბადი?!
*

თუმცა იუდა მოკვდავთ შორის ერთადერთს ჰქვია,
სამაგიეროდ წამხედურნი ქვეყნისა ყრიან . . .
*

შემაქო ერთმა, — აკეთებთო ორძალებს კარგად,
მე შევახსენე, რომ განცდილი კეთებას არ ჰგავს.
*

ამბობენ, გულიც უკან რჩება, კვალიც — უკანო,
ამიტომ არ ღირს, წინა კაცო, განვლილს უგანო.

*

მტრის ყოლა თუ გინდა, ძმას გაეყარეო, —
ეს სიბრძნე დღეისთვის აჯობებს ბარე ორს . . .
*

ცოდვაა კაცი, ვისაც ბედი ვერ მოუგვარდა
და არაფერი გააჩნია . . . სინდისის გარდა . . .
*

მოვერიდოთ თაფლის ფუტკარს,
ფუტკრის თაფლს კი მადლი ვუთხრათ.
*

გამოცდილებას გვძენს ყრმობისას თოვლი უდავოდ, —
მერე ტალახით, ბატონებო, რომ ვიგუნდაოთ . . .
*

რა საწყენია, სული რომ გაქვს ახალგაზრდული,
ხოლო ასაკით ხარ საკმაოდ ლახვარდასმული . . .
*

ცოლ-ქმრობა სხვაა, სხვა საპალნე დღიური პროზის,
სიყვარული კი — პოეზია მზიური დოზით . . .
*

სადაც კაცისას მძულვარებას აფრქვევს მსაჯული,
იმ სახელმწიფოს არაფერი აქვს შესაშური.
*

სიტყვა "წალეკვას" კავშირი აქვს ხუნძთან[2] ეგება? —
წინაპრებს ჩვენსას, წაგვლეკესო, უთქვამთ, ლეკებმა.
*

მზე ცხინვალის კალთებს მიღმა აქანდა ზე,
რა ყოფა აქვთ, ძმაზე მითხარ, აქ ან დაზე . . .
*

ღამეებს თეთრად მე ვათენებ (ახლა იკვლიე):
თავად ვთეთრდები . . . ღამეები რჩება იგივე . . .
*

სჩვეოდა დავითს ტაძართა და დაბათა გება,
და მერე მათი ლოცვის ენით დაბადაგება . . .

---

1 პოლიგამია — ბერძნ. მრავალცოლიანობა
2 ხუნძი — იგივე ლეკი

— დედა, ნუ ტირიხარ. მე იქიდანაც საღ-სალამათი დავბრუნდები.

თუ საშუალება იქნა, საიდანმე დაგირეკავთ, ამბავს შეგატყობინებთ.

ბიჭმა მამისკენ გაიწია.

— მე შენი კოცნა არ მინდა! ნუ მიდიხარ! ნუ მიდიხარ, მე შენ გეუბნები! გამოძახებული არა ხარ, თავს ხიფათში ძალით რატომ ჰყოფ?

— არ გინდა და ნუ გინდა, — მიტრიალდა და ისევ დედას აკოცა. მერე მამისკენ შეტრიალდა და ღიმილით უთხრა:

— მგელი, არწივი, კაი ყმა, არცერთი არ გაიწვრთნება.

კარი გააღო და გავარდა.

— მაინც მიდიხარ?

— მივდივარ, მამი, მივდივარ! — კიბეზე ჩექმების ბრახუნით დაეშვა.

— ჩემი თუ არ გესმის, წადი მაშინ მამაჩემთან!

ბიჭს ნასროლ ქვასავით მოხვდა მამის წყევლა და წამით შეჩერდა. მაღლიდან გადამდგარს ახედა.

— მადლობა, მამაჩემო, მადლობა! — ამოსძახა და ახლა უკვე ნელა დაუყვა კიბეს.

— კაცო, ომში წამსვლელ ბიჭს ეს რა უთხარი?! შენ გაგიხმეს ეგ ენა-პირი! შენ წადი მამაშენთან, შენი ნახვა უფრო გაუხარდება.

— ეგეც შენსავით თავნებაა და იმიტომ.

— ღმერთო, შენ არ გაიგონო ამ უკულმართი კაცის ნათქვამი! — ქალმა პირჯვარი გადაიწერა და საწოლი ოთახის ფანჯარა გააღო, გზისკენ გადაიხედა.

საბარგო მანქანასთან ბიჭები იდგნენ, ხუმრობდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ. ლევანი მათთან მივიდა, იქაც წამით შეჩერდა, ფანჯარასთან გადამდგარ დედას ახედა, ხელი დაუქნია, მაგრამ არ გაღიმებია, როგორც ადრე იცოდა ხოლმე დამშვიდობების დროს.

ქალს გულში რაღაც ჩასწყდა.

ლევანის ამხანაგებმაც დაუქნიეს ხელი, თან იღიმებოდნენ. მერე სიგარეტის ნამწვავები ქუჩაში მოისროლეს და მანქანაზე აცოცდნენ.

— შენ მოგიკვდეს დედა, მამაშენს გაუხმეს ენა, შენ ჯვარი გეწეროს. დედა ღვთისმშობელმა დაგიფაროთ, შვილებო. მშვიდობით დაუბრუნდით თქვენ-თქვენ დედებს... როგორ დამაბნია ამ უკუღმართმა კაცმა, საგზალიც კი ვერ გავატანე, დედა მოუკვდეს...

ქალმა ცრემლიანი თვალები ამოიმშრალა და ფანჯარა დახურა.

იმ დღეებში ცხარე ბრძოლები იყო აფხაზეთში.

კაცი ყოველ საღამოს კრიჭაშეკრული უყურებდა ტელევიზორს, უყურებდა ეკრანს და ნანობდა, ბიჭი ასე გულნატკენი რატომ გავუშვიო. თვალწინ ედგა, კიბეზე შეჩერებულმა როგორ ამოსძახა, მადლობა მამაჩემოო.

... ათი დღის შემდეგ იმავე ამხანაგებმა, იგივე მანქანით ცინკის კუბოთი ჩამოასვენეს ლევანი, შეტევის დროს ნაღმზე აფეთქდაო.

მხედრული პატივით დაკრძალეს ძმათა სასაფლაოზე.

ორმოციც გადაუხადეს, წლისთავიც.

ცოლს ერთხელაც არ უთქვამს ქმრისთვის, ომში მიმავალი ბიჭი შენ ეგრე რომ არ დაგეწყევლაო...

ადამიანს თუ არ უწერია, არაფერიც არ დაემართება, მაგრამ კაცს მაინც მოსვენებას არ აძლევდა ხალხში ნათქვამი: დედა როცა იწყევლება, ძუძუები ლოცავენ, მამის წყევლაზე კი ემოწმებიან, ამინო.

მწუხარებამ წელში მოხარა და დააპატარავა შვილმკვდარი კაცი.

ახლა ყოველ შაბათს ჯოხის ბჯენით მიდის შვილის საფლავთაენ, სულის მოსათქმელად ჩამოჯდება. ცრემლიან თვალებს მოიმშრალებს. მერე უბიდან ამოიღებს სანთლებს, ასანთს, დაუნთებს და დაჩოქილი ეჩურჩულება, შვილო, მაპატიეო.

ლევანი ისეთი გულის ბიჭი იყო... ის კი აპატიებს, როგორ არ აპატიებს, მაგრამ, ეჰ!..

კაცმა არსათქმელი სიტყვა მაინც არ უნდა თქვას!

მეცნიერის დიდი გზა

"ასეთ პიროვნებებზე იდგა და იდგება დარგი"

ალ. რობაქიძე

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი პროფესორი ჯულიეტა რუხაძე მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით ღირსეული გამგრძელებელია იმ ბრწყინვალე სამეცნიერო კოჰორტისა, რომელიც ასპარეზზე ჩვენი საუკუნის დამდეგს გამოვიდა და რომელმაც თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად ქართული ეთნოგრაფიის აღორძინება დაისახა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ჯულიეტა რუხაძე დღესაც ჭეშმარიტად ახალგაზრდული შემართებითა და გატაცებით აგრძელებს მისთვის სისხლხორცეულად საყვარელი დარგის, ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას. მას ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს მთა-ბარი, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, რამაც მკვლევარს უმდიდრესი და უიშვიათესი ემპირიული მასალა შეაკრებინა. სწორედ ამ მასალის ანალიზმა მისცა შესაძლებლობა გაერკვია ტრადიციული კულტურის უძველესი საწყისები, დაედგინა ამ საწყისთა ცვლა-განვითარების საეტაპო საფეხურები. პროფ. ჯ. რუხაძის მრავალწლოვანი კვლევა-ძიების შედეგები შეჯამებული სახით მოცემულია მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში "ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში" (ბერიკაობა-ყეენობა) (თბ. 1999 წ.), რომელმაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. წიგნში დადგენილია ბერიკაობა-ყეენობის, როგორც დღესასწაულის, გენეზისი, ნაჩვენებია მისი აგრარული და სოციალური ბუნება, წარმოდგენილია სხვადასხვა ისტორიული ფენებისა და დანაშრევების შემცველი ამ ურთულესი და მრავალსახოვანი მისტერიის სხვადასხვა ასპექტები.

ბერიკაობა-ყეენობა კალენდარული მოძრავი დღესასწაულია. იგი ადრე გაზაფხულზე, ყველიერის დღეებში იმართებოდა. ახალ წელს სანახაობის მთავარი პერსონაჟები – თავბერიკა, ნეფე, დედოფალი, რიგითი ბერიკები სხვადასხვა ცხოველის ნიღბებით გარკვეულ რიტუალს ასრულებდნენ, წარმოდგენის სიმბოლურ შინაარსში ადამიანის საკულტო-რელიგიური აზროვნებისა და სოციალური ყოფის უძველესი ფენები (წყლის სტიქია, მიცვალებულის კულტი, სიცოცხლის ხე...) იკითხებოდა. ამ გარემოებამ მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ბერიკაობა-ყეენობა ნაყოფიერებისა და ბუნების ძალთა აღორძინების საწყისებთან მდგარი მისტერია იყო.ჯ. რუხაძემ მასში გამოჰყო წმინდა რელიგიური პასაჟებიც და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის ნაშთებიც, რომელიც ათასწლეულების მანძილზე რთული პროეცირებით ყალიბდებოდა.

მეცნიერის უდავო დამსახურებაა ის, რომ იგი დღესასწაულს განიხილავს ისტორიის უწყვეტ დინამიკაში, განიხილავს როგორც ნაციონალური კულტურის სპეციფიკურ მოვლენას. ეს მოვლენა კი გამოხატავს ეროვნული ყოფიერების თავისებურებებს, ქართველი ერის ოდინდელ ეთნო-კულტურულ კავშირს სხვა მეზობელ ხალხებთან. კვლევა-ძიების რეტროსპექტული გზა თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს ქართველი ტომების უძველეს კავშირ-ურთიერთობებს წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს ცივილიზაციებთან.

ნაშრომს საფუძვლად დაედო ის უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა, რომელსაც ავტორი 1949 წლიდან კრებდა და პერიოდულად ავსებდა.. ამ მასალის თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის მომარჯვებით პროფ. ჯ. რუხაძემ ნათლად, ცალსახად წარმოაჩინა ბერიკაობა-ყეენობის სოციალური ბუნება, მისი იდეოლოგიური საფუძვლები; მან ასევე ნათლად გაარკვია დღესასწაულის ეროვნული ფესვები, ხალხური მითოსური ცნობიერების სპექტრი, რაც მას სხვა ხალხებში არსებული ანალოგიური დღესასწაულებისაგან ასე განასხვავებს.

პროფ. ჯულიეტა რუხაძის წინამდებარე ნაშრომი ეთნოლოგიური კვლევის სწორუპოვარი ნიმუშია. ამიტომაც ის უკვე იქცა ჩვენი ეთნოლოგების, ისტორიკოს-ენათმეცნიერთა და ქართული კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა სამაგიდო წიგნად.

თამილა ცაგარეიშვილი

P.S. ჟურნალ "დროშის" რედაქცია მხურვალედ მიესალმება ქალბატონ ჯულიეტა რუხაძეს, ულოცავს ამ ჩინებული ნაშრომის გამოქვეყნებას და უსურვებს კიდევ დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ეროვნული მეცნიერების სადიდებლად.


ქალბატონი ჯულიეტა შვილიშვილთან

კაი ყმა, დიდოსტატი, პროფესიონალი...

დრო გადის, მაგრამ ქართველი ერისათვის კვლავ უცვლელად რჩება დავით გურამიშვილის "დავითიანში" წამოჭრილი ვულისტკივილი. დღეს ჩვენ უცხოეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ვსწავლობთ თუ რამდენად საჭიროა ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგში საქმის მცოდნე ე. წ. პროფესიონალი. და თითქმის გვავიწყდება, რომ საქმის მცოდნე კაი ყმა, დიდოსტატი მამულიშვილები საქართველოს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს. ისევ და ისევ მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი "დიდოსტატის მარჯვენა", რამაც ალბათ დღევანდელი რუბრიკის "საქმის ოსტატის" სახელწოდება განაპირობა. მაგრამ მოდი ისევ ჩვენს რეალობას მოვუბრუნდეთ. რა თქმა უნდა, საქმის მცოდნე პროფესიონალები ჩვენშიც მოიძებნება. სამწუხაროდ, დღეს, არეულ დროში, მათი შრომა და ცოდნა ტაბუდადებულ, უხმარ განძად დევს — ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ.

ჩვენ თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით, მაგრამ აღარ მახსოვს, როდის მივესალმეთ. (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საუბრის პერიოდში ორგანიზაციის რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია ბოლომდე ჯერ არ განხორციელებულიყო). სახელმწიფო კომპანია "საქენერგოს" რადიოკავშირის სამსახურის უფროსი ტარიელ ბერბიჭაშვილი პირველივე საუბრიდან იმ პროფესიონალთა რიცხვს მივაკუთვნე, რომლებიც თავის ცხოვრებაში იოლ გზებს არ ეძებენ. პოეზიის მოყვარული კაცი ხშირად თავისი საყვარელი პოეტის ომარ ხაიამის ლექსებს მოიშველიებდა. სხვათა შორის დამამახსოვრდა ერთი ციტატა: "ორმაგად უნდა ცხოვრობდეს კაცი, ცხოვრების მიზანს რომ მიაღწიოს, პირველ სიცოცხლის გამოცდილება, მეორეში რომ საქმედ აქციოს"... დიახ, შეიძლება ითქვას, ბატონმა ტარიელ ბერბიჭაშვილმა ერთი სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ იცხოვრა, შესძლო გამოცდილების დაგროვება და რეალიზება, ოჯახის შექმნა და სახლის აშენება.

რადიოტექნიკისადმი სიყვარული მას ჯერ კიდევ ბავშვობაში მამამ, სსრკ—ს საპატიო რკინიგზელმა გიორგი ბერბიჭაშვილმა ჩაუნერგა, რომელსაც სახლისთვის რადიომიმღები "სი – 235" შეუძენია და წლების მანძილზე "ძველი მიმღების" რემონტს უნდებოდა. შეიძლება ამითაც აიხსნას მე-9 საშუალო სკოლის მე-8 კლასში ფიზიკის სწავლისას ბიჭის განსაკუთრებული დაინტერესება ელექტრობით და შემდგომ სწავლის გაგრძელების სურვილი თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტის რადიოფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაუბარებია. პარალელურად მუშაობდა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკურ რადიოცენტრში ტექნიკოსად, უფროს ტექნიკოსად, ინჟინრად და უფროს ინჟინრად. სწავლის დასრულების შემდეგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რადიოელექტრონიკისა და სქემა-ტექნიკის დარგში წამყვან ინჟინრად ითვლებოდა. 1974 წლიდან ბატონი ტარიელი მუშაობას მაშინდელი "საქმთავარენერგოს" რადიოსამსახურის უფროსად აგრძელებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით პირველად საქართველოს ენერგოსისტემაში ინერგება ულტრამოკლეტალღოვანი რადიო-სატელეფონო კავშირები, რომლებიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.



ბატონი ტარიელი განსაკუთრებულად იხსენებს 1978 წლის 3 ნოემბერს ენგურჰესის გაშვებას, როდესაც მისი საკუთარი სქემით დამზადებული რეტრანსილატორების დახმარებით პირდაპირი რადიოკავშირი საბერიოდან თბილისში "საქმთავარენერგოს" ცენტრალურ სადისპეჩეროსთან პირველად განხორციელდა. 1974 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს ენერგოსისტემაში 400 ცენტრალური, მობილური თუ გადასატანი რადიოსადგური უზრუნველჰყოფს ენერგობიექტებს შორის რადიოსატელეფონი კავშირებს.

"საქმთავარენერგოში" 1974-1985 წლებში მუშაობის მანძილზე ტარიელ ბერბიჭაშვილმა 50-ზე მეტი ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის რაციონალიზატორული წინადადება დანერგა. არის მრავალი სტატიის ავტორი საკავშირო სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში. ჟურნალები: "ენერგეტიკა", "რადიო"; ბროშურები: "რადიომოყვარულთა დასახმარებლად", "ექსპრეს-ინფორმაცია".

თავის ცხოვრებაში ყველაზე წარმატებულად 1986 წელს თვლის, როდესაც დაოჯახდა და პირველი ვაჟიშვილი, მამის მოსახელე გიორგი დაებადა. ამავე წელს მას საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება მიენიჭა.

მისი წინადადებების დანერგვას საბჭოთა კავშირის ენერგეტიკის ხაზის უზარმაზარი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა, ყოველწლიურად ორი მილიონი მანეთის ეკონომია. სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე ენერგეტიკის სტენდმა მის მიერ წარმოდგენილი ექსპონატებით სამი ბრინჯაოსა და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის საპატიო რადისტის წოდება.

ბატონი ტარიელი წლების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა ერთ დროს მის მიერ დამთავრებულ კავშირგაბმულობის რადიოფაკულტეტზე.

ტარიელ ბერბიჭაშვილს საამაყო მართლაც ბევრი აქვს. ორი ვაჟიშვილის — 13 წლის გიორგის და 10 წლის ლევანის მამას, საკუთარი ხელით აუშენებია კასპის რაიონის სოფელ წინარეხში მამა-პაპურ ნაკვეთზე სახლი. ახლაც ყველაზე მძიმე წლებში მიწასთან მუშაობამ გადაარჩინა.

ხოლო როგორც პროფესიონალს გული სტკივა, რომ ენერგოსისტემაში რადიოკავშირის განახლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. არადა, არსებული აპარატურა ჩანაგდება, იძარცვება. არადა, ამ საქმეს მისი აზრით დღეს ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

თამარ ნინიძე

მიხო მოსულიშვილი

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემი "ცისკრის", "მნათობის", "ლიტერატურული საქართველოს" რომელიმე ნომერს — აქ ჩვენი რეზო ინანიშვილის ნოველებიაო! — ნათესავზე რომ იტყვიან ხოლმე, ისე ამბობდა და სწორიც იყო. ეს რანაირად, რა კარგად წერდა! ხოლო მისი წიგნის ჩვენს ოჯახში შემობრძანება ხომ ზეიმი იყო, დაისვამდა მამაჩემი დედას და ხმამაღლა აკითხებდა საღამოობით, დაღლილი რომ მოვიდოდა სამუშაოდან და წაიხემსებდა, იმის მერმე. სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველასაც ზუსტად ამ მეთოდით ისმენდა...

ფშავის მთებში კლდიდან რომ ჩამოვვარდი და გადავრჩი, მამაჩემმა დაიჟინა — შეთქმული მაქვს, ცხვარი უნდა დავკლა წმინდა გიორგის საყდარში და ჩამოდი, ჩამოიყვანე, ვინც გინდაო.

მაშინ დაბეჭდილი მქონდა რამდენიმე მოთხრობა, უკვე ვიცნობდი ბატონ რეზოს. ჯერ დავურეკე, მერმე სახლში მივედი და დავპატიჟე, ძალიან გაახარებთ ჩემიანებს თქვენი სტუმრობით-მეთქი.

ავად ვარ, აღარ შემიძლიაო — დაიჩივლა და თავაზიანად გადამიხადა მადლობა — ალბათ, ვერ შევძლებო.

რეზო, ნუ ჩავიკეტებით სახლში, გავახაროთ ის ხალხიო — მხარი დამიჭირა ქალბატონმა როზამაც — თქვენ ხვალისთვის დარეკეთ, გადაწყვეტილი გვექნებაო.

შემდეგ თავისი უბრალო, სადა ბინის კედლებზე დაკიდული ტილოები დამათვალიერებინა ბატონმა რეზომ, ფანქრით შესრულებული საკუთარი ნახატებიც მაჩვენა...

მეორე დღეს შევიტყე, წამოსვლა გადაეწყვიტათ და — თქვენს სადარბაზოსთან დაგელოდებით ჩემი მანქანით-მეთქი. მაშინ მწვანე ნულექვსი მყავდა, იმით გავედი და დიდხანს არ მილოდნია, ბატონი რეზო გამოჩნდა. უმალ გადავედი, მივეგებე, მანქანის კარი გავუღე. თავისი ერთი რჩეული მაჩუქა ძვირფასი წარწერით და სანამ ქალბატონი როზა ჩამოვიდოდა, ერთი პატარა ნოველაც წამიკითხა დაგემოვნებით, დინჯად და მოზომილად...

სასიამოვნო მუსაიფით ჩავედით სოფელში, ჩვენები უკვე საყდარში იყვნენ, სამჯერ შემოვატარე ცხვარი და დავკალით, უცებ ჩამოვატყავეთ. გაიშალა სუფრა...

მართლა ცუდად იყო ბატონი რეზო, შეთავაზებულ კერძებზე უმეტესად უარს ამბობდა, ველარც სვამდა და ტკივილის ჩრდილიც გადაურბენდა ხოლმე სახეზე, მაგრამ არ იმჩნევდა და ხარობდა ჩვენების შემყურე — თავისი პერსონაჟები თუ ახსენდებოდა.

მერმე შეღამდა, აცივდა.

ოჯდა ქურთუკმოხურული ბატონი რეზო და ფოთოლგაცვენილ ტყეს გასცქეროდა, ბინდში რომ იძირებოდა ნელი-ნელ და ისმენდა, აყურადებდა, იგემოვნებდა ჩვენს საუბარს. წარა-მარა თვალებში შესცქეროდა ძვირფასი მეუღლე, ხომ არ ასტკივდა რამეო.

თბილისში რომ ვბრუნდებოდით, გზაში იმ ადგილების ისტორიას მიამბობდა, სადაც გავივლიდით.

ოცნებად მაქვს, სიღნაღის გადასახვევთან რომ მარტოხეა და გარშემო შავად გადახნული მინდორი — აი, იქ უნდა მოვკვდეო — მითხრა და თან ერთგვარი შიშითა და საბოდიშო ღიმილით გადახედა განაწყენებულ მეუღლეს.

რა დროს მაგაზე ლაპარაკიამეთქი — მივუგე და სხვა თემაზე ჩამოვაგდე სიტყვა.

უკვე ღამე იყო, კანდელაკის ქუჩაზე მდებარე კორპუსს რომ მივაყენე მანქანა.

ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, უცებ ვიგრძენი — კახეთიდან დანახული მთელი საქართველო ესვენა გულზე — ამისგან თუ იყო ისეთი დარდიანი და დაღლილი...

ერთი წლის შემდეგ მწერალთა კავშირში ვნახე, უკვე ძალიან ავად იყო...

— ეჰო — მითხრა — ნეტავი, კიდევ თუ წავალთ შენთან, რა კარგი იყო მაშინო — ის წმინდა გიორგობა გაიხსენა.

დავაიმედე — აუცილებლად წავალთ-მეთქი...

მართლაცდა, ეჰ!

ვერავის ველარ გაახარებს ბატონი რეზო თავისი სტუმრობით — საახალწლოდ ზეციურ საქართველოში გაგვეპარა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში გართულსა თუ სეირის მაცქერალ, დაუნდობლობაში, განუკითხაობაში ჩაფლულ ქართველობას...

და ახლა, ცხოვრების ათასნაირი უკუღმართობით გადაღლილს, ხშირად მახსენდება ხოლმე სიღნაღის გადასახვევთან, შავად გადახნულ ველზე მდგარი მარტოხე — ბერტყენას ეძახდა ბატონი რეზო — და ისე ვმშვიდდები, თითქოს ეკლესიაში ამენთოს სანთლები.

მესამე

ოსტატი (უცაბედი პორტრეტი სიზმრიდან)

მავანი დიდია, ძალიან დიდი. იმისმა მასშტაბურმა პერსონაჟებმა ლამის დააზანზარონ სამყაროო — მითხრა ჩაფიქრებულმა და კაიხნის დუმილის მერმე დასძინა — არადა, ადამიანი მაგხელა არააო.

თქვენ-მეთქი?

მე პატარა ვარ. დაქანცული და ჯოხზე დაბჯენილი ბერმუხის ძირში ვზივარ და მაშინვე ცაში კი არა, დაბლა ვიყურები — ჭიანჭველებს დავცქერი, თავისზე ბევრად მძიმე ტვირთი რომ მიაქვთ ან ეძებენო. — გაჩუმდა, ჩემს პასუხს თუ უცდიდა.

არ მინდა მავანი ვიყო, იმ ჭიანჭველად ჩამთვალეთ-მეთქი.

ისე გამიღიმა, მარტო თვითონ რომ იცოდა — მოწყალედ, მაინც დარდიანად და თავზე დამადო დაკოჟრილი ხელი.

მერმე ჯოხს დაებჯინა, მძიმე-მძიმედ წამოდგა და ასევე წავიდა...

წავიდა და წავიდა, გაქრა.

დიდებული ადამიანი იყო ცხონებული, ნამდვილი ქრისტიანი. მე ვწერ, ჩემს სულს რომ ლოცვა დასჭირდებაო — ამბობდა. მისმა სისადავემ არ შეგაშფოთოს, "ორღობის მწერალს" ნუ დაუძახებ და თუ დაუძახებ, ისიც იცოდე, რომ მისი ორღობე მთელ საქართველოს იტევს. მაინცდამაინც, ნიკო ფიროსმანაშვილისა არ იყოს, ჯერ ევროპამ უნდა აღიაროს, რომ შენც აუბა მხარი და სულ ნიანგის ცრემლები აღვარღვარო?

მცირე მოგონება

ირაკლი ანანიკაძე

ეერდა "ეროსის" რეფერი ეერთდეთ ეამოეეეეეს ეაეერეეეის ფეეეეე



ბავშვებისათვის ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც უფროსებისათვის, ოღონდ უფრო უკეთესად, უფრო ბუნებრივად და სათუთად.

სტანისლავსკი

სუფთა ხელებით

ეკა ჩილაჩავა

თოჯინების თეატრი...

ეს უძველესი ჟანრი სათავეს რელიგიურ-მისტიკური სანახაობებიდან იღებს. თურმე ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში წარმოადგენდნენ მისტერიას ოსირისსა და ისიდაზე. მეთერთმეტე საუკუნეში კი ეკლესიებსა და მონასტრებში თოჯინების თეატრის წარმოდგენები ბიბლიურ სიუჟეტებზე იმართებოდა. მთავარი პერსონაჟი წმინდა მარიამი იყო. აქედან მოდის რომანულ-გერმანულ ენებში დღემდე შემორჩენილი თოჯინას სახელწოდება: მარიამი — Marion Marionette. დროთა განმავლობაში ბიბლიური სიუჟეტების პარალელურად თოჯინების თეატრში საერო "მიწიერი" თემატიკაც შეიჭრა. ამიტომ თეატრი ეკლესიიდან გააძევეს. იმ დროიდან იგი მოედნებსა და ბაზრობებზე დამკვიდრდა...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო...

მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწყება ექსპერიმენტები საბავშვო სპექტაკლების ფორმისა და ტექნიკური მხარის დასახვეწად. დროთა განმავლობაში თოჯინების თეატრის გამომსახველი მხარე გამდიდრდა. წარმოდგენები უფრო თავისუფალი და მეტყველი გახდა. გამოიკვეთა მხატვრის ფუნქცია და მსახიობ-მეთოჯინეთა ხელოვნებაც უფრო დაიხვეწა. ამ პერიოდიდან იწყება ფორმისა და შინაარსის განვითარების გზების ძიება. სპეციალისტების წინაშე დაისვა საკითხი ავტორობის შესახებ. ერთ-ერთი ვერსია ასეთი იყო: ვინ ქმნის სპექტაკლს — ერთი პიროვნება თუ დასი? გამოიკვეთა — მარიონეტულმა თეატრმა გარკვეულ დონეს რომ მიაღწიოს, საავტორო უნდა იყოსო. სპექტაკლი ერთი პიროვნების, ერთი გონების მიერ უნდა შეიქმნასო. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება თოჯინების გაცოცხლებაც და წარმოდგენის ერთიანი სულისკვეთების შექმნაო. მხოლოდ ამ გზით დაიხვეწება და გაერთიანდება შინაარსი და ფორმაო. (ირინე ღოღობერიძე, თოჯინების თეატრის მსოფლიო ფესტივალზე — შარლევილ-მეზიერი, 1988 წელი).

დროთა განმავლობაში არაერთი საავტორო თეატრი შეიქმნა. უნდა ითქვას, რომ საბავშვო თოჯინების თეატრს თავისი სპეციფიკა გააჩნია. ეს ის კერაა, რომელმაც სკოლასთან ერთად, მის მხარდამხარ, ყმაწვილის სული და ზნეობა უნდა ჩამოაყალიბოს, მის ზრდასა და განვითარებას სწორი გეზი მისცეს, ავისა და კარგის გარჩევა, ბოროტის სიძულვილი და კეთილის დაფასება ასწავლოს. ეს ურთულესი ამოცანაა, რადგან ბავშვის ბუნება უაღრესად ფაქიზი და სათუთია, იგი ფრთხილ, დაკვირვებულ მიდგომას მოითხოვს. მასთან "უფრო ბუნებრივი" და "უფრო სუფთა" უნდა იყო, რათა ბოლომდე გენდოს. პატარა მაყურებელი ტყუილსა და სიყალბეს არ "გაპატიებს". იგი მხოლოდ მაშინ დაგიჯერებს, როცა შენს სიმართლეს და ერთგულებას დაინახავს, როცა სცენაზე მთელს შენს სიყვარულს უშურველად მიიტან.

ამ წერილში საუბარი გვექნება ერთ-ერთი საავტორო, საბავშვო თოჯინების თეატრის შემქმნელზე, კაცზე, რომელიც ძალზე ბევრს აკეთებს ჩვენი ყმაწვილებისათვის.

მალხაზ სამსონაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, მიიღო მხატვარ-დიზაინერის კვალიფიკაცია.

1989 წელს მცხეთაში მისი თაოსნობით გაიხსნა თოჯინების და ჩრდილების თეატრი "ფასკუნჯი". დირექტორიც თავად გახლდათ და სამხატვრო ხელმძღვანელიც. თეატრს ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებდნენ, თავადაც არ იშურებდა საკუთარ დანაზოგს. ერთხანს თეატრი თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობდა. ბატონი მალხაზი სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როცა თეატრმა საკუთარი ავტობუსი შეიძინა და შეძლო ორგანიზებულად ჩამოეყვანა მაყურებელი თბილისის სკოლებიდან და რაიონის სოფლებიდან. ბავშვები ესწრებოდნენ სპექტაკლებს, ხოლო შემდეგ, სვეტიცხოველსა და დედათა მონასტერს ათვალიერებდნენ.

მცხეთაში დღესაც იხსენებენ ამ თეატრს და მის მიერ მინიჭებულ სასიამოვნო წუთებს.

1991-92 წლების მოვლენების გამო თეატრმა არსებობა შეწყვიტა. სულ მალე ბატონმა მალხაზმა შექმნა მოძრავი თეატრი და არსებული რეპერტუარით გააგრძელა მუშაობა თბილისის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

1997 წელს, ისევ საკუთარი სახსრებით, ახალი მარიონეტული თეატრი გახსნა მუშთაიდის მიმდებარე, საბავშვო რკინიგზის ტერიტორიაზე. მეორე სეზონში მან გადაწყვიტა განეხორციელებინა "მცხეთური სისტემა" — ორგანიზებულად მოეყვანა მაყურებელი სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდან. გააკეთა სპეციალური პროგრამა: სპექტაკლი, ატრაქციონები, საჩუქრები. ექს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

F8091

პერიმენტმა გაამართლა. პედაგოგებმა და მშობლებმა სიამოვნებით მიიღეს წინადადება, მაგრამ რამდენად გულდასაწყვეტია, ბრწყინვალედ ჩატარებული პრემიერის შემდეგ, იმავე ღამეს თეატრი დაიწვა... დაიწვა ფრიად საეჭვოდ და, სამწუხაროდ, დღემდე დაუდგენელ ვითარებაში. დაიწვა ყველაფერი — თოჯინები, დეკორაციები, აპარატურა, წლების ნაშრომი და ნაწვალები. თითქოს ცხოვრებაც დამთავრდაო...

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ხელოვანი არ გატყდა, საყვარელ საქმეზე გული არ აიყარა და რამდენიმე კვირაში ახალი მოძრავი თეატრი შექმნა.

თუმცა, სჯობს თავად მას მოვუსმინოთ:

— დავიბადე თბილისში, მელიქ-კაზარიანის სახლში. მოგეხსენებათ, ადრე ამ შენობაში მოზარდ მაყურებელთა თეატრი იყო. ეზოში კი — თოჯინების სახელმწიფო თეატრი. მე არც ერთ წარმოდგენას არ ვტოვებდი. შეიძლება სწორედ აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება...

ხატვა მიყვარდა. ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩავბარე. ვმღეროდი აკადემიის ხალხური სიმღერების გუნდში და ვხელმძღვანელობდი ვოკალურ—ინსტრუმენტულ ანსამბლს. მესამე კურსიდან პარალელურად ვმუშაობდი ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის" სამხატვრო რედაქტორად. თავისუფალ დროს ვაკეთებდი მარიონეტულ თოჯინებს და ვაბარებდი სამხატვრო სალონებში გასაყიდად. ამ თოჯინების დამსახურებაა, რომ სადიპლომო ნამუშევრების თემად მარიონეტების საბავშვო თეატრის პროექტი მქონდა...

დღემდე სულ ოთხი თეატრი მაქვს შექმნილი. სპექტაკლების თემატიკა ზღაპრებია. დადგმული მაქვს გ. ნახუცრიშვილის "ნაცარქექია", ჯ. როდარის "ჯელსამინო ცრუთა ქვეყანაში", რ. კიპლინგის "რატომ აქვს სპილოს ხორთუმი", ჯ. ჰარისის "ბიძია რიმუსის ზღაპრები", მ. არჯილისა და გ. პარკას "ლურსმანას თავგადასავალი", თბილისის სახელმწიფო თეატრში გაფორმებული მაქვს სპექტაკლი "საჩუქარი".

დღეს მოძრავი თეატრი მაქვს, სადაც თითქმის ყველაფერს მე ვაკეთებ: სცენარი, რეჟისურა, მხატვრობა, მუსიკა, სტუდიური მუშაობა, თოჯინები, ტექნიკური მომსახურება, პერსონაჟებსაც მე ვახმოვანებ. ეს არის ერთი კაცის თეატრი, რომელსაც სპექტაკლებზე მეთოჯინე მსახიობები ეხმარებიან.

მოგეხსენებათ, ადრე, ძველ დროში, წარმოდგენები ბაზრობებზე იმართებოდა. ჩემი მიზანიც დღეს ეს არის. მე თვითონ უნდა მივიდე სკოლებში, საბავშვო ბაღებში. ეს მომგებიანია როგორც ჩემთვის, ისე მშობლებისთვისაც. ჩემი აზრით, ბავშვი, რომელიც პედაგოგთან ერთად უყურებს წარმოდგენას, უფრო ბევრის მომცემია, რადგან იმავე დღეს იმართება სპექტაკლის განხილვა და, ბუნებრივია, ეს მასწავლებელს მოზარდის აღზრდაში ეხმარება.

დღევანდელობამ ახალი პრობლემები და ახალი შესაძლებლობები მოიტანა. მე ყოველთვის ვცდილობდი მშობელთა ნებაყოფლობითა და თანხმობით ყოფილიყო ბილეთების რეალიზაცია. ახლა ეს რეალურ სახეს იღებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ დღევანდელ მძიმე სოციალურ ვითარებაში საბავშვო თეატრი "ფუფუნებაა". ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ, ბატონებო! საქმე ისაა, თუ ვინ გვინდა გამოვზარდოთ და ვის გვინდა ჩავაბაროთ ჩვენი ქვეყანა.

შეიძლება და ალბათ საჭიროა, მომჭირნე ვიყოთ ბევრ რამეზე, მაგრამ არსებობს, როგორც ჩვენს პარლამენტში ხშირად იტყვიან, "დაცული მუხლები" და პირველ რიგში ეს ბავშვებს ეხება. არ შეიძლება ეკონომია ბავშვების სიხარულზე, სულიერ და ესთეტიკურ აღზრდაზე, თუ არ გვინდა მორალურად და სულიერად მახინჯი არსებები, დაპროგრამებული რობოტები გამოვზარდოთ.

რუსეთის სკოლებში სხვათა შორის ცირკიც მართავს წარმოდგენებს: აქ ჟონგლიორები, ილუზიონისტები, აკრობატები და პატარა ცხოველები იგულისხმება. ოდითგანვე ეს იყო მოძრავი ფუნქცია და ტრადიცია, რაც ჩემი აზრით, არ უნდა მოშლილიყო.

არსებობს კიდევ ერთი გზა — სპონსორი. ხომ შეიძლება კერძო ორგანიზაციებმა, ცალკეულმა მეწარმეებმა, რომლებსაც დიდი მოგება აქვთ, თანხა თეატრში "დააბანდონ"? ამ შემთხვევაში მე უფასოდ ჩავატარებდი სპექტაკლებს...

ბავშვის წარმოდგენა ცხოვრებაზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. პასუხის ძიებაში კითხვაზე, თუ რა მოსწონს და რა არა პატარა მაყურებელს, რა აღელვებს და რის მიმართ რჩება გულგრილი, რატომ იცინის ან რატომ ტირის სპექტაკლის ყურებისას, თავს იჩენს ბავშვთა აღქმის სპეციფიკის კონკრეტული პრობლემები და გამოიკვეთება საბავშვო თეატრის ახალი და ფართო აღმზრდელობითი შესაძლებლობები.

მოსწავლის ესთეტიკური აღზრდის პროცესში ყურადღებით უნდა აიწონ-დაიწონოს გაანალიზებული და ორგანიზებული მხატვრული ინფორმაციის მთელი ნაკადი, ბავშვებთან სხვადასხვა არხებით რომ მოედინება. ამავე დროს, ბავშვს უნდა მიეცეს შემოქმედებითი საქმიანობის და თავისი პიროვნების გამოხატვის საშუალება. აი, მხოლოდ ამით ეშველება ამ საქმეს...

თოჯინური ხელოვნების ყველა ჟანრში მინდა თავი მოვსინჯო, მაგრამ ჩემი ოცნებაა წარმოდგენები გაკვეთილების სახით დავდგა. ამ შემთხვევაში მეცნიერულ კლასგარეშე ლიტერატურას გამოვიყენებდი. მეთოჯინე მსახიობებად ზრუნვამოკლებულ ბავშვებს აღვზრდიდი, უდედმამო ბავშვთა ბაზაზე კი ახალ თეატრს შევქმნიდი.

*

დასასრულ, ესთეტიკური აღზრდა მარტო მშობელმა, სკოლამ, წიგნმა, გაზეთმა და ჟურნალმა კი არ უნდა მისცეს ბავშვს, არამედ თეატრმაც, ამით ჩვენ პედაგოგებსაც დავეხმარებით და მშობლებსაც...

მთავარია, გესმოდეს თოჯინების, გრძნობდე მათ "ტკივილს და სიხარულს" და თუ ასე მოხდა, ბავშვებსა და თეატრს შორის დამყარდება ის სულიერი სიახლოვე, რაც ესოდენ აუცილებელია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეღეჯი

გურამ ბედოშვილი

● ქალმა შავმუხიანის დაბალი, ხშირი ტყით შემოვლებული ოლე გაიარა და შემოდგომის ფერებით უცხოდ აჭრელებულ ტაფობს ზემოდან გადახედა. დამრეცი ტყისპირები დაღვინებული ფერებით იყო გადალესილი. საერთო სიყვითლიდან ღვიძლისფრად ჩამუქებული შვინდის, კოწახურის და კუნლის ბუჩქები იჭყიტებოდნენ. ბექობი რომ ჩამოიდაბლა, არაგვის მხრიდან მომდინარე ყრუ შხუილის ხმას მიაყურადა; რატომღაც სურდა ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი მდინარის პირ-პირ წაგრძელებული ანანურისათვის, მაგრამ სოფელს უკვე მუხნარის ვარჯი უფარავდა. უცნაურია, როგორც კი იგი თვალსაწიერიდან გაუქრა, ქალს უჩვეულო სევდა დაეუფლა, ოღონდ ეს სევდა შიშისა არ ყოფილა, შიში არც გახსენებია. უბრალოდ, ეს იყო სურვილი თავისი ზემოუბნის ხელახლა ხილვისა, რადგან მისი დანახვა, თუნდაც — შორიდან, ოჯახში უუფროსოდ, ერთიმეორის მოიმედედ დატოვებულ შვილებზე ფიქრს უცხოველებდა. ეს ფიქრი დედას ხალისსა და ენერგიას მატებდა.

არა, მარტო არ უნდა წამოვსულიყავ! — საკუთარ თავს ადანაშაულებდა ქალი: - განა პირს რამე დამცემს, მაგრამ ტყე მაინც ტყე არის! მაღალ ღმერთს ტყე მარტო კაცისთვის და ნადირ-ფრინველისათვის გაუჩენია. ქალისა კერაა. კერა და შვილები!..

შინიდან დილაუთენია გამოსულს თხილის თხელი ლარტყებით მოწნული კალათა ჯერ სანახევროდაც ვერ მოეყარა, თუმცა, რაც ხელთ მოხვდებოდა, - კოწახური იყო, შვინდი თუ გასაკროლად გამზადებული თხილი, ყველაფერს გაურჩევლად, ყუნწ-ფოთლებიანად, შიგ ყრიდა.

ქალმა თელის ქვეშ ამოსულ წყაროსთან შეისვენა, ტყის მტვერმოდებული ყელ-კისერი და სახე სველი ხელისგულებით მოიწმინდა და ძველ ბალახგადავლილ მიწაყრილზე ჩამოჯდა. მცირე ხანს იჯდა ფიქრიანი, უბრალოდ ტუჩებმომუწული. ტყის დიდ სიმშვიდეს ხანდახან ჩხიკვის მჭახე ხმაური თუ არღვევდა. ქალს წყლის სიახლოვემ წყურვილი გაუძლიერა, წამოზეზევდა, იქვე მწვანედ ამოდუყებულ ბუერას მისწვდა, ფოთოლი ხინკლურად მოანაოჭა და „ჯამი" შირიმის ფიჭა-ფიჭა დასვრეტილ ლოდზე ჩამომდინარ ჭავლს შეუდგა: სმას რომ მორჩა, თავი მაღლა ასწია და... წყურვილის მოკვლით მოგვრილი სიამე სახეზე შეაციოდა: იქვე, ხუთიოდ ნაბიჯზე, მომცრო ხევის პირას, უკანა ტოტებზე ავრეხილი დათვი იდგა!

ქალს არ უკივლია, საშველად არავისთვის მოუხმია. ერთადერთი, რაც სრულიად გაუცნობიერებლად მოიმოქმედა, ის იყო, რომ კალათს ხელი დაავლო და ზეზე ადგომა იწყო. დგებოდა ნელა-ნელა, დაყოვნებით, თითქოს ნადირის დაფრთხობისა ეშინიაო. როცა წელში გასწორდა, მაშინღა შენიშნა, ძუ დათვის ზურგს უკან ერთიმეორეს გორგლად ჩანასკვულ-ჩახვეული ბელები ბუღრაობდნენ.

- ორი ჰყოლია, - გაიფიქრა ქალმა და, იმის ნაცვლად, რომ ბელებიანი დათვის პირისპირ შეყრით ზაფრა დასცემოდა, ცნობისმოყვარეობამ სძლია, - მზერა ახლა ძუ დათვს გაუსწორა. ტოტებზე შემდგარი დათვი რუხ თავ-პირს აქეთ-იქით იღებდა, წინ წაწვდილი შავი დრუნჩით ჰაერს ხარბად ყნოსავდა, თან გაბმით ყუყუნებდა. თხილის თეთრი ლარტყებით დაწნულ კალათს, მთელ შიგთავსს, ნაცნობი, მშობლიური ტყის უშ-

ფოთველი სუნი უდიოდა, ამიტომაც ნადირს თაფლისფერ თვალებში გაბოროტებისა თუ სიანჩხლის ნატამალიც არ უჩანდა. დათვმა კიდევ ერთხელ მოყნოსა ჰაერი და, სრულიად დამშვიდებულმა, ტორები ძირს ჩამოაწყო.

ძუ დათვმა ბელებს მოავლო თვალი და ერთ-ერთს, უფრო დაუდეგარსა და კბენიას, თავში ტორი მსუბუქად გაჰკრა. ბელმა თამაში შეწყვიტა და, დედის ლაჯებშუა მორჩილად ჩამდგარმა, სული გატრუნა. ქალს ბელის დასჯამ გული აუჩვილა და, როგორც შვილებთან სჩვეოდა, გამოქომაგება სცადა: ორიოდ ნაბიჯი წადგა და ხელისგულზე დაყრილი შვინდის მარცვლები წადიერად გაუწოდა:

- აჰა, მოდი, ნუ გეშინია!.. ისეთი გემრიელია, შენი მოწონებული!..

ქალის ხმაზე ძუ დათვმა თავი შეაქანა და იქაურობა კვლავ ბეჯითად მოყნოსა: მის წინ მდგარ ორფეხა არსებას, ადამიანს, რკინის უცხო, მუხანათი სუნი არ უდიოდა; მაშ, დათვსაც, მის ონავარ ბელებსაც შეეძლოთ თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ და დილის ჩვეული გასეირნება ამჯერადაც მშვიდობიანად დაესრულებინათ.

დათვი ხევის პირას, შემაღლებულზე იდგა და მეორე მხარეს გადასვლას არ აპირებდა, სწრაფი, მოკლე ნაბიჯებით გადი-გამოდიოდა და თან ყრუ, მოგუდული ხმით ბურდღუნებდა.

- ბრაზობ, განა? – გაელაპარაკა ქალი, - გაბრაზდები, მაშ რა მოგივა, როცა მთელი სოფელი ასე გაქიმითდა, გახარბდა! დიდი და პატარა ტყეს არის მოდებული, ჰკრეფენ, ლეწავენ, ფხოზავენ... იმას კი აღარავინ ნაღვლობს, ამოდენა ნადირ-ფრინველს და იმათ წვრილებს რჩენა რომ უნდა! მე კი, ჩემი ვასოს და სოფიკოს გამრავლებამ, ტყეში დღეს პირველად გამოვედი... ვიფიქრე, ცოტას მეც რამეს გამოვმარცვლიო. ამოდენა ზამთარი წინ მიდევს, მარტო, ავად რომ დამიხდნენ, კერკით ცხელ კისელს მაინც მოვუდუღებ...

გაცოდინა მაინც, მეც შენსავით ორი მყავს, ქალ-ვაჟი. ჯერ გოგო მეყოლა, მერე, წლისთავზე, მოვიხედოთ და ვაჟიშვილი, გამიჩნდა. უმამოდ კი დავზარდე, თავს რა ცოდვისხილება არ გადამხდა!.. რატომ და, წავიდა, ავი ანგელოზი თუ რამ დააჯდა მხარზე! ისე, სიმართლე თუ გინდა, შვილებზე გულაყრილი კაცი გინდა გყოლია, გინდა – არა!

- შენაც, ხომ ვიცი, ბელებს უმაგათმამოდ ზრდი. ჩემი კაცისა არ იყოს, მაგათ მამასაც შვილებზე ჯავრი გულში ერთხელ ფიქრადაც არ გაუვლის! დადიან, დაბუინობენ გამოშვებული ხარებივით... ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ, დედებმა, მამებს რა უჭირთ!..

ძუ დათვი შეჩერდა, გაიყურსა, მერე უკანა თათებზე შედგა და ენაპირად გაკრეფილ ქალს დაჟინებით მიაშტერდა.

- არ გამიბრაზდე, ქალო, აგრემც სილაღით დაგეზრდებიან ეგ შენი ანგელოზი შვილები... მე მარტო ის გითხარი, რაც ცხოვრებაში უკადრი ტანჯვა-ჯაფა მადგას... გული დედურად გადაგიშალე, სხვა კი არაფერი...

- ეუჰ, ეუჰ! – ამოიგმინა დათვმა და ქალისათვის თვალმოუშორებლად აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა. ერთხანს შეჩერდა, მერე უკან მოიხედა და მუხლამდე ყვავილნარად ამოდუღებულ ბალახებში სამკვდროსასიცოცხლოდ წაკიდებულ ბელებს ტორი დედური სიფრთხილით წამოჰკრა, ერთიმეორეს გააშორიშორა.

- იყვნენ, ითამაშონ, ქრისტიანო! თამაში და ბღლარძული მაგათი მოგონილია!.. ჩემებიც ეგრე არიან. მიჰხედავ, - თაფლწასმულებივით ერთიმეორეს ლოკავენ, მოჰხედავ და უცხოებივით წაიკიდებიან, ლამის ერთმანეთი დაჭამონ! ავსა და შარს ნურაფერს მოიწევენ და, რა გინდა, ითამაშონ, ითავყირაონ!..

უცებ ქალს აუტანელი წყურვილი დაეუფლა. იგრძნო, ტუჩები ერთიანად როგორ გაბმოდა, მთელი პირის ღრუ ბლის ხმელი კანივით დაშაშროდა. წყაროსთან მისულს ბუერის ხინკლურა ჯამი აღარ გახსენებია, წყალს პეშვში იგროვებდა და ბავშვური ნეტარებით ხვრეპდა. წყურვილი რომ მოიკლა, კალათს ხელი გაუყარა და წასვლა დააპირა, მაგრამ მიხვდა, სამოთხ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, - შარდის ისეთი უნებური მოწოლა იგრძნო. ბევრი არც უფიქრია, ჯერ ქალური რიდით სავსე მზერა მოავლო იქაურობას, მერე გვიმრიანში შევიდა და წელამდე მოზრდილ სიმწვანეში ჩაცუცქდა. სულ მალე ზურგს უკან ბალახების შარი-შური შემოესმა. ქალს ტანში შიში ჩაუდგა, - ბალღობიდან ზაფრავდა მცურავის უბრალო ხსენებაც კი. მოხედვაც ვერ მოასწრო, თოვლივით ქათქათა გლუვ ბარძაყებზე ბელები შემოენთნენ...

ქალი ხელებით იცილებდა ონავრებს, ისინი კი გოჭებივით ხრუტუნებდნენ, ქოშინებდნენ და ლაჯებქვეშ უძვრებოდნენ, მზედაუკრავ მუხლისთავებს პაწია, თბილი და ხაოიანი ენით ულოკავდნენ.

– ჰო, რა იყო, რა ნახეთ, რა გამოგივარდათ!.. გასწით, დამშორდით, თქვე უნამუსოებო, თქვე ფინთებო!.. რას ისუნებით, რამ შეგშალათ, რამ გადაგრიათ?..

ბელების ცნობისმოყვარეობას კი ბოლო არ უჩანდა. ქალი რომ წამოდგა, ისინი კვლავ კანჭებზე ეტოტებოდნენ, კრუტუნებდნენ, ლოკავდნენ... ქალი გაღიმებული დაიხარა, ორივეს ზურგზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და გაღიმებულმავე ჩაუგურგურა:

– ვაიმე, როგორი საყვარლები ჰყოფილხართ, თქვე ყროლებო, თქვე ფინთებო!

მერე ძუ დათვისკენ გაიხედა. დათვს დრო ეხელთა, გვერდზე მიმდგარიყო და თხილის ბარდს ამოფარებული, ქალურებ ჩაცუცქული, მშვიდად შარდავდა...

– ღმერთო, დაგელოცა სამართალი! – წყნარად დაილაპარაკა ქალმა და უსაფრთხოობაში უკვე სრულიად დარწმუნებულმა ბელებს დაუცაცხანა:

– წადით, თავიდან დამშორდით, დამეკარგენით! მიდით თქვენს დედიასთან! არ გააბრაზოთ თქვენი კარგი დედია! მეც წავალ, ჩემებსაც, ვიცი, გზისკენ ექნებათ თვალი დარჩენილი!..

ქალი შეტრიალდა, კალათს ხელი დაავლო და ბილიკს გაუყვა. ათიოდე ნაბიჯიც არ ქონდა გადადგმული, გულმა უკანვე მოახედა: ძუ დათვს თავისი ბუთხუზა შვილები წინ გაეყარა, თვითონ კი მწყემსურად კვალში ჩასდგომოდა. სულ მალე ისინი აღმართს შეუყვნენ და ყვითლად მოღაღანე ხშირნალს შეერივნენ.

შედგა ი.სტალინის შეხვედრა ჰიტლერთან?

თბილისში გამომავალი "კავკაზსკი კალენდარში" გამოქვეყნებული ინფორმაციების თანახმად, 1911-1914 წლებში გერმანიის გენერალურ კონსულად თბილისში მუშაობდა გრაფი შულენბურგი. იგი 1911 წლის აპრილში ჩამოვიდა თბილისში. მაშინ გენერალური საკონსულო მდებარეობდა პასკევიჩის ქუჩის №14-ში. ტელეფონი 12-16.

გრაფი შულენბურგი 1914 წლის ივლისში ბერლინში გაიწვია საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

როგორც გაზეთი "საქართველო" იუწყებოდა, გრაფი შულენბურგი – საიმპერიო მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან მეორედ 1918 წლის 30 მაისს ჩამოვიდა თბილისში. 4 ივნისს იგი თბილისში პრესკონფერენციას ატარებს ჟურნალისტებთან, ხოლო 11 ივნისს – ნოე რამიშვილთან ერთად გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე ესწრებოდა ქართველი და გერმანელი სამხედროების აღლუმს და სიტყვით გამოდის.

1919 წლის 17 იანვარს გრაფმა თბილისი დასტოვა და რამდენიმე წლის განმავლობაში ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთგანყოფილების რეფერენტი იყო. მერე დაინიშნა გერმანიის ელჩად ჯერ თეირანში და შემდეგ ბუქარესტში. 1934 წლის აგვისტოში იგი მოსკოვში ჩადის როგორც გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრკ-ში.

1938 წლის 29 სექტემბერს მიუნხენში დიდმა ბრიტანეთმა (ნ. ჩემბერლენი), საფრანგეთმა (ე.დელადიე), ფაშისტურმა გერმანიამ (ა. ჰიტლერი), ფაშისტურმა იტალიამ (ბ. მუსოლინი) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გერმანიისათვის გადაცემის შესახებ (ამ ოლქში ძირითადად გერმანელები ცხოვრობდნენ). ამასთან შეთანხმებით დაკმაყოფილდა უნგრეთის და პოლონეთის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიისადმი. ამ შეთანხმებამ განაპიროვნა შემდგომ გერმანიის მიერ მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია თოფის ერთი გასროლის გარეშე.

1938 წლის ნოემბრიდან გრაფი შულენბურგი მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატთა კორპუსის დუაიენია, რამაც მას საშუალება მისცა პირადი კონტაქტები დაემყარებინა საბჭოთა უმაღლეს ხელმძღვანელებთან და ი. სტალინთან.

1939 წლის აგვისტოში გერმანიამ მოსკოვთან თავდაუსხმელობის პაქტი დასდო.

1939 წლის 3 სექტემბერს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ აქტიური საომარი მოქმედება არ დაუწყიათ (ე.წ. "უცნაური ომი").

და აი, სწორედ 3 სექტემბერს ი. სტალინი წერს გრაფ შულენბურგს:

"სსრკ-ში გერმანიის ელჩს გრაფ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს.გამ.№980 1939 წლის 3 სექტემბერი

მე პრინციპულად თანახმა ვარ შეეხვედე ბატონ ადოლფ ჰიტლერს. შეუცვლელად ვიქნები ამ შეხვედრის მოსურნე. შეხვედრის ორგანიზაცია დავავალე ჩემს შინაგან საქმეთა სახკომს ამხ. ბერიას. პატივისცემით ი.სტალინი"

როგორც ჩანს, ა. ჰიტლერი იყო შეხვედრის ინიციატორი.

გრაფმა შულენბურგმა წერილით აცნობა ჰიტლერს სტალინის თანხმობა შეხვედრაზე. წერილის ასლზე შემორჩენილია მინაწერი: „მოსკოვის დროით 1939 წლის 9 სექტემბერს 17 საათზე და 10 წუთზე სსრ კავშირში გერმანიის საელჩოს მეორე მდივანმა დარეკა და ითხოვა გადაეცათ ამხ. მოლოტოვისთვის, რომ ბატონმა რეიხკანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა მიიღო ამხ. სტალინის მიმართვა."შემდეგ ასეთი წერილი:

„სსრ კავშირში გერმანიის ელჩს გრაფ ვერნერ ფონ დერ შულემბურგს. გამ. 1001 1939 წლის 20 სექტემბერი.აცნობეთ გერმანიის რეიხკანცლერ ადოლფ ჰიტლერს, რომ მზადა ვარ მასთან პირად შეხვედრისათვის 1939 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს ლვოვში. ჩამოვალ სპეციალური მატარებლით და შეხვედრაც ჩემს ვაგონში მოხდება. პატივისცემით ი.სტალინი"

ადოლფ ჰიტლერმა შეხვედრის დროთ ოქტომბრის 17, 18 და 19 რიცხვები მიიჩნია. ამით მან ასეთი შეხვედრა ი. სტალინთან უფრო დაჩქარა. სტალინის მესამე წერილი:„სსრკ-ში გერმანიის ელჩს გრაფ ვერნერ ფონ დერ შულემბურგს. გამ. 1037 1939 წლის 11 ოქტომბერი. გთხოვთ საბოლოოდ ჩასთვალოთ შეხვედრის დროდ 1939 წლის 17, 18 და 19 ოქტომბერი და არა ნოემბრის 17 – 19 ნოემბერი, როგორც ადრე იყო დაგეგმილი. ჩემი მატარებელი შეხვედრის ადგილზე იქნება 1939 წლის 17 ოქტომბრის 15 საათსა და 30 წუთზე. შინსახკომის ორგანოების მიერ მიღებულია ყველა ზომები დაგეგმილი ღონისძიებათა უშიშროებისათვის. პატივისაცემით ი. სტალინი"

1940 წელი. აპრილ-მაისში ჰიტლერელებმა დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია მოახდინეს. მაისში ოკუპირებული იქნა ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. 14 ივნისს გერმანული ჯარები პარიზში მარშით შევიდნენ.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა.

ივნისის ბოლოს გრაფი შულენბურგი ბერლინში ბრუნდება ბაქო-თბილისი-ლენინაკან-ანკარის გავლით. იგი ჩამოშორდა დიპლომატიურ საქმიანობას. 1944 წელს მონაწილეობს ჰიტლერის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, რომლის თანახმად გადავიდოდა ფრონტის ხაზზე, ჩავიდოდა მოსკოვში და სტალინთან მოლაპარაკებას გამართავდა ზავის დადების თაობაზე. ჰიტლერის რეჟიმის დამხობა ვერ მოხერხდა, შულემბურგი დააპატიმრეს და წამების შემდეგ, 1944 წლის 10 ნოემბერს ჩამოახრჩეს.

გრაფ შულენბურგის გასახსენებლად დღეს მოსკოვში გერმანიის საელჩოს შენობაზე მემორიალური დაფაა გაკეთებული.

სტალინის მიმოწერა გრაფ შულენბურგთან აღმოჩენილია არქივებში, როგორც ამას იუწყება მოსკოვში გამომავალი „კალეიდოსკოპი".

მართლაც შედგა ი. სტალინის შეხვედრა ლვოვში ა. ჰიტლერთან?

ანდრე ცისკარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილერი და გუსტავ ვაზა

მერაბ კალანდაძე

● გამოჩენილი გერმანელი მწერალი და დრამატურგი ფრიდრიხ შილერი, ამავე დროს, გერმანული განმანათლებლური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შილერი, როგორც ისტორიკოსი, ქართული საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი და ამ კუთხით საკითხის წარმოჩენა გამართლებული უნდა იყოს.

შილერი წლების განმავლობაში ემსახურებოდა ისტორიის მუზას "კლიოს" და არაერთი ისტორიული ნაშრომის ავტორია. ამიტომ შვედეთის მეფის გუსტავ პირველი ვაზასადმი ფრ. შილერის დამოკიდებულება ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნებოდა.

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრება კითხვა, რითი მიიპყრო შილერის ყურადღება შვედეთის ისტორიამ? (აქ, ცხადია, ვგულისხმობთ შილერის დაინტერესებას არა მარტო გუსტავ პირველის, არამედ გუსტავ-ადოლფის მოღვაწეობითაც). ამ ქვეყნის ისტორიით ფრ. შილერის გატაცება შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ორმა გარემოებამ – კონფესიონალურმა და პოლიტიკურმა. რეფორმაციის წარმატებამ შვედეთში და ეროვნული აბსოლუტიზმის ჩასახვამ და განვითარებამ. აღსანიშნავია, რომ პირველი სერიოზული ნაბიჯები ამ მიმართულებით შვედეთმა სწორედ გუსტავ პირველი ვაზას ზეობის (1523-1560) დროს გადადგა. ამიტომ შილერის დაინტერესება მისი მოღვაწეობით სავსებით ბუნებრივი ჩანს და ადვილი გასაგებიცაა. აქვე დავძენთ, რომ გუსტავ ვაზას მოღვაწეობამ ქართული საზოგადოების ყურადღება უკვე გასულ საუკუნეში მიიპყრო და 1900 წელს გამოიცა ბროშურა "გუსტავ ვაზა". ეს დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და შვედი ხალხის ბრძოლა თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის კარგად გამოხატავდა იმ დროის ქართული საზოგადოების პატრიოტულ სულისკვეთებას.

გუსტავ პირველი ვაზასადმი შილერის დამოკიდებულებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი თხზულების, "საფრანგეთის არეულობის ისტორია ანრი მეოთხის გამეფების წინ" მიხედვით. ამ ისტორიულ ნაშრომში, რომელსაც მისი ისტორიული შეხედულებების მკვლევარები შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, ფრ. შილერი ერთ ადგილას ჩერდება გუსტავ პირველი ვაზას მოღვაწეობაზე და წერს: "გუსტავ ვაზა სპობდა შვედეთში არა მარტო ძველ რელიგიას, არამედ გასაოცარ ბოროტმოქმედებას". ამ ერთი გამონათქვამიდან, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია რაიმე სერიოზული დასკვნები გამოვიტანოთ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მასში ძალიან კარგად ჩანს შვედეთის მეფის მოღვაწეობის შეფასებისას შილერის მიერ დაკავებული პოზიცია.

რითი იყო განპირობებული შვედეთის მეფის გუსტავ პირველი ვაზასადმი შილერის კეთილგანწყობა? ამისი მიზეზები უწინარესად მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ.

პირველ რიგში, შილერი პატივს მიაგებდა შვედეთის მეფის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, რასაც შილერი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა.

კალმარის უნიის (1397-1523) გაუქმება და შვედეთის დამოუკიდებლობის აღდგენა ამ ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. შვედი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას სწორედ გუსტავ ერიქსონი, ვაზა ჩაუდგა სათავეში. დანიელების მიერ 1520 წლის ნოემბერში მოწყობილმა "სტოკჰოლმის სისხლიანმა აბანომ" საბოლოოდ აავსო შვედების მოთმინების ფიალა და ახალი მძლავრი სტიმული მისცა განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1518 წელს დანიელების ტყვეობას თავი დააღწია გუსტავ ერიქსონ ვაზამ. მან თავი შეაფარა დალეკარლის მთებს, სადაც ცხოვრობდა თავისუფლებისმოყვარე გლეხობა. გუსტავმა თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე ორატორმა, ორგანიზატორმა, მხედართუფროსმა და დიპლომატმა. მან სწორად განჭვრიტა, რომ დანიასთან ომში მარტო შვედეთს წარმატების მოპოვება გაუჭირდებოდა. ამიტომ შვედეთი დაუახლოვა დანიის კიდევ ერთ მტერს ლიუბეკს, რომელსაც არ მოსწონდა დანიის პრეტენზიები ბალტიის ზღვაზე გასაბატონებლად. დანიისათვის ორ ფრონტზე ბრძოლა არ აღმოჩნდა ადვილი საქმე. დანია იძულებული გახდა თავი დაეცვა ლიუბეკის ფლოტისაგან და პრაქტიკულად ბედის ანაბარა დარჩა თავისი მომხრეები შვედეთში. ამით კარგად ისარგებლეს შვედებმა და ქვეყნის ტერიტორიების უდიდესი ნაწილი გაათავისუფლეს. ამ წარუმატებლობით გაგულისებულმა დანიელებმა ხრისტიან მეორე ტახტიდან ჩამოაგდეს და იგი იძულებული გახდა ჰოლანდიაში ეძებნა თავშესაფარი. შვედეთში კი 1523 წლის 6 ივნისს რიკსტაგმა მეფედ აირჩია გუსტავ პირველი ვაზა. ქვეყნის დამოუკიდებლობა აღდგენილი იქნა.

გუსტავ ვაზასადმი შილერის კეთილგანწყობა გამოწვეული იყო შვედეთის მეფის რელიგიური პოლიტიკით, სახელდობრ რეფორმაციის წარმატებებით. რეფორმაცია შვედეთში უწინარესად განპირობებული იყო ფისკალური მოსაზრებებით.შვედეთს ლიუბეკის დიდი ვალი დაუგროვდა. ამავე დროს ფული საჭირო იყო არმიის შესანახად. მან გადაწყვიტა დაცარიელებული ხაზინა შეევსო ეკლესიის ხარჯზე. მაგრამ სწორი არ იქნება ყველაფერი ფისკალურ საკითხზე დავიყვანოთ და გვერდი ავუაროთ რეფორმაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძველს. საქმე ისაა, რომ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისისათვის კათოლიკურ ეკლესიას თავი დამოუკიდებლად ეჭირა და სამეფო ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა. ახალი იდეების გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში ეკლესია მეფეს კი არ ამოუდგა გვერდში, არამედ პირიქით მის წინააღმდეგ იბრძოდა და დანიელებს უჭერდა მხარს. ამას თან მოყვა ეკლესიის პრესტიჟის მკვეთრი დაცემა. გასათვალისწინებელია, რომ კათოლიკური ეკლესია თვითონ იყო დიდი მიწების მფლობელი და ამ გემრიელ ლუკმაზე კარგა ხანია ეჭირათ თვალი შვედ დიდებულებს. ამით სახელმწიფოს სურდა კათოლიკური ეკლესიის ძლიერებისათვის ეკონომიკური ნიადაგი გამოეცალა და თავისი იურისდიქციისათვის დაექვემდებარებინა. 1527 წელს ვესტეროსში მოწვეულმა რიკსტაგმა მიიღო გადაწყვეტილება საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის თაობაზე. ამის ლოგიკური შედეგი იყო კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ეკონომიკური ძლიერების შესუსტება და სახელმწიფოს განმტკიცება. ეს გუსტავ პირველი ვაზას პოლიტიკის დიდი წარმატება იყო.

რა თქმა უნდა, შილერი ყურადღებას მიაპყრობდა იმ ღონისძიებებს, რომელიც შვედეთის მეფემ გაატარა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების გზაზე, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული აბსოლუტიზმის განვითარებას შვედეთში. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა სახელმწიფო მმართველობის რეფორმა, ფინანსური რეფორმა, სამხედრო რეფორმა, მან ააღორძინა შვედეთის საზღვაო ფლოტი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შილერის თხზულებაში შვედეთის მეფე მოხსენიებულია ინგლისის დედოფლის ელისაბედის (1558-1603) და საფრანგეთის მეფის ანრი მეოთხის (1589-1610) გვერდით. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გუსტავ პირველი ვაზასადმი შილერის სიმპატიებს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ შილერის შეხედულებით შვედეთში მიმდინარეობდა იმის მსგავსი ისტორიული პროცესები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში და საფრანგეთში. ეროვნული აბსოლუტიზმის განვითარება, ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცება, რეფორმაციის წარმატება. შილერი შვედეთის მეფის გუსტავ პირველი ვაზას საქმიანობაში ხედავდა განათლებული მონარქის განსახიერებას, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს.

ამრიგად, შილერის მიერ გუსტავ პირველი ვაზას მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, თუმცა, შესაძლოა, შილერი ცოტათი აჭარბებდა შვედეთის მეფის ისტორიულ დამსახურებას და მისი მოღვაწეობის იდეალიზაციისაკენ უფრო იხრება, რაც პროტესტანტული ბანაკისადმი შილერის სიმპატიებით აიხსნება.

ეზო-ეზო

ილიკო ჟურაული

ჩვენი ეზოებიის ნაწილ ნოსტრის გამოქვეყნებული იყო მოზეიცილე მუსიკოსის ილიკო ჟურაულის საკუთარის ფრონდელი ბერეტ მიყრილა. ამჯერად ვთავაზობთ ორ ნაწილებს ილიკო ჟურაულის ნაწარეულებიდან, რომელსაც მოიხსენიებდა ნამდვილი ეზო. ეს ის ეზოა, რომელიც ბოლოს ეზოებში, რომელსაც მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მიუბრუნდა ილიკო ფეხი – ელისაბედ მუსიკა ხალმა. ეზოებიი ფარეშეფელი იყო, რომ მუსიკა ენა – ენა ადამიანის ხელია და ადამიანის ენაა; ენა, რომელიც შეიძლება ეასეული ნასესხები ადამიანს.

ნაწილებში მოთხრობილი შემთხვევები ბრძოლების ამრეული ფრონდიან (1913 – 1916 წლები). ეს ის ეზოა, რომელიც ხუთეულის ფიქ ნაწილ ან შეიქნა ეგალინოდა ელისაბედ უკვდავ მუსიკას და ბასიკის ასეი მუსიკალურ ზიარების ეროადენია სამეფოება ილიკო ჟურაულის ეზოს კონცერტები.

ილიკო ეგზიფეულის ბრალი ეკონდეს და ბეკ ჩვენ ეკოლენაია მეაოლედან ფიფიდიდან ჭეშეებში და სალმოენოდან ეკურეფეი ყველა ეზოში.

და ეა, მეფიდეს ალმაენი ჭეშეებს ერთ-ერთი ეზოს ერთ-ერთ სახლის ეეეს ეზოს. ეზეეი ოე ანა ბეკ, მაშინეე ეეეფეეკ სამნეეი ნეფილ-ეოეეი, ნმაკალ-ეერალი, ბრაბ-ბრეი, ჩასაიეეი ეეეოეეეს. ხელ ერთამნეეეში ინეოდნენ ფიდეი და ბატრეეი, ეკლეი და კაკეი, ბატეეი, ეეოეეი, ეაკეეი. ეეთა სარმალი და ფერალი ეკრეეეკეეი ბეკრეფეი ცეს და ბიეკ.

"ეკოკიეეს ერთი ბეკეეეალი ალელ და ინიე ბეეეტო" – ეერიფეი ჩეეეე ოეი ეეფეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინუკა სირაძე

„ნერგში“ შედგა მისი პირველი ჩანახატების ნათლობა. გურამ რამიშვილის სახელობის საავტორო მე-6 საშუალო სკოლის დირექტორმა – ნინო რამიშვილმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქეთი ცხომელიძემ დაულოცეს გზა მეშვიდე კლასელი ნინუკა სირაძის კალმის დებიუტს.

თვითონაც ნერგია ძლიერი ფესვის ყლორტებიდან ამოზრდილი. ნინუკას ბაბუა – ზურაბ ჩილაჩავა შესანიშნავი პიროვნება, ჟურნალისტი და ფილოლოგი, წიგნის დიდი მოამაგე და ტრფიალი გახლდათ. ბებია – მაყვალა თვალჭრელიძე – მუსიკოსია. დედა – ეკა ჩილაჩავა – ჟურნალისტი, ხოლო მამა – ზურაბ სირაძე მხატვარი იყო.

ახლობელ ადამიანებთან განშორებით გამოწვეული უდიდესი სევდა, ტკივილი და თანაგრძნობა, მეოცნებე გოგონას ბავშვური თვალით დანახული დღევანდელი სინამდვილე, სიცოცხლის სიყვარული და სიკეთე გამხდარა მისი ჯერაც გაურანდავი კალმის შთაგონების წყარო.

ეს მხოლოდ გზის დასაწყისია.

გვჯერა, რომ პატარა შემოქმედი მის წინამორბედთა კვალზე ივლის და კვლავ არაერთხელ გაგვახარებს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ნინუკა სირაძის ნაწერების ჭაშნიკი „დროშის“ ფურცლებიდან.

ნუნუ მაღრაძე

მოხუცი

ქუჩაში მიდის ნელი ნაბიჯით, ფეხის აუჩქარებლად. არსად არ ეჩქარება, შეიძლება ეჩქარება კიდეც, მაგრამ უფრო ჩქარა არ შეუძლია. ნაღვლიანი, ამღვრეული თვალებით გაჰყურებს ქუჩას. მას ვერავინ ამჩნევს იმიტომ, რომ თავისი არსებობით არავის აწუხებს. მას აღარ აღელვებს მომავალი, ის აწმყოში წარსულის მოგონებებით ცხოვრობს. მისი ცხოვრება შეიძლება ხვალვე შეწყდეს, მაგრამ მას სიკვდილის არ ეშინია, ამიტომ მშვიდად მიაბიჯებს რუსთაველზე. ოპერის წინ ჩერდება, ზანტად ათვალიერებს აფიშებს და შემდეგ კვლავ აგრძელებს გზას.

მოსაღამოვდა.

ცოტა აცივდა.

მოხუცს შეაჟრჟოლა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, მის ასაკში ჩვეულებრივი ამბავია.

მთებთან ცა ცისარტყელის შვიდფერად აბრდღვიალდა, მზე მათ შორის ჩაესვენა.

მოხუცმა გახედა მთებს მზერით დაღლილი, მწუხარე თვალებით, ამოიოხრა და გზა განაგრძო...

პატარა მათხოვარი

დამტვერილი, ჩამოძენძილი ტანსაცმლით მიხტის მოკირწყლულ გზაზე. მხიარულია, მაგრამ ნაღვლიანი თვალები აქვს. მას შია, ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება მალე გამოსტყუოს გამვლელთ ფული. ის მათ ტანსაცმელზე ეკონწიალება და არ ეშვება მანამ, სანამ ფულს არ მისცემენ.ზოგი უხეშად იშორებს მას და ზიზღით უვლის გვერდს, პატარა ამას ყურადღებას არ აქცევს და ხალისიანად განაგრძობს საქმიანობას. ახლა ცოტაოდენი ფული შეუგროვდა, ის ბედნიერია და იღიმება, მაგრამ უეცრად სახე ეღრუბლება, რადგან ახსენდება, რომ შინ ავადმყოფი დედა, ლოთი მამა და დამშეული და-ძმა ელოდება. იცის, რომ თუ ფულს არ მიიტანს, მამა სცემს. მზისგან გაშავებულ სახეზე კურცხალი ჩამოუგორდა, მაგრამ უმალვე მოიწმინდა ჭუჭყიანი სახელოთი და ისევ გამხიარულდა.

ვილაცამ დააკაკუნა

შინ მარტო ვარ, თუმცა მთლად მარტო არა – ჩემი ფისოც აქ არის და ღრმა ძილით სძინავს.

გარეთ წვიმს...

წვიმის წვეთები მხიარულად ეხეთქება ფანჯრის მინას.

მე ფანჯრის რაფაზე ვარ ჩამოსკუპებული. ამ დროს ათას რამეზე შეიძლება ფიქრი.

– ნეტავ ვინმე მოვიდოდეს, – ვნატრობ მე და გავყურებ ქუჩას, რომელიც თითქმის დაცარიელდა, მხოლოდ რამდენიმე ლანდს ვარჩევ ბუნდოვნად.

წვიმამ მოუმატა.

– ამ თავსხმაში ვინ მოვა, მე კი ისევ მარტო მომიწევს ყოფნა, – გავიფიქრე უიმედოდ.

კატას გაეღვიძა. ალმაცერად გამოშხედა, გაიზმორა, მოცუნცულდა ჩემთან და კალთაში ჩამიწვა.

გულისფანცქალით ველი კარზე კაკუნს. უეცრად მართლა გაისმა კაკუნი. მივვარდი კარს, გავაღე, მაგრამ... მაგრამ ეს მხოლოდ ტოტი აღმოჩნდა, რომელსაც ქარი არხევდა და ახეთქებდა კარებს. იმედგაცრუებული დავბრუნდი უკან და ძველი ადგილი დავიკავე.

საათის ისრები ნელა მიიზლაზნებოდა და წვიმას ბანს აძლევდა: წიკ-ტაკ! წიკ-ტაკ! – წკაპ-წკუპ! წკაპ-წკუპ!

მალე კვლავ გაისმა კაკუნი.

– ნეტავ, ვინ იქნება? – გავიფიქრე მე და კარის გასაღებად წავედი...

თებრონე საჯაია

თებრონე საჯაია მშობლიურ ცასა და ქვეყანას, ქართულ სიტყვას შეყვარებული გოგონაა. დაიბადა 1983 წელს იურისტისა და მათემატიკოსის ოჯახში. დედა – ქეთევან საჯაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის პროფესორია.

თებრონემ დაამთავრა ზუგდიდის I გიმნაზია პირველი ხარისხის დიპლომით. გადაწყვეტილი აქვს, ეზიაროს ჟურნალისტის პროფესიას. უკვე მოასწრო რამდენიმე პუბლიცისტური წერილის, მოთხრობისა და ნარკვევის გამოქვეყნება.

ჟურნალ „დროშის“ ჭაშნიკი გთავაზობთ, ბავშვური გულწრფელობით აღსავსე თებრონე საჯაიას პატარა ჩანახატებს.

...

გოგოგნა ფანჯარასთან ზის და ქუჩას გასცქერის. ქუჩა სავსეა ხალხით, მანქანებით, რომლებიც დაუსრულებლად მოძრაობენ. ხალხი თითქოს ფეხს უწყობს მანქანის მოძრაობას. ასეთ ქაოსს გადმოჰყურებს მაღლიდან და ფიქრობს. - „სად გარბის ეს ხალხი ასე ადრიანად? აი, ბავშვებიც, ალბათ სკოლაში მიიჩქარიან სადაც მე ვერასოდეს წავალ – აგერ მოხუცი გადადის გზაზე. მას – ყმაწვილი ეხმარება გადასვლაში“ ღმერთმა უშველოს.

გადის დრო, ბინდდება, ფანჯარას ქალი უახლოვდება და ორივე შორდებიან სარკმელს...

გათენდა მეორე დილა. მზემ ამოანათა, ფანჯარას ისევ ეწვია მუდმივი სტუმარი. „– დღესაც იგივეა, რაც გუშინ“ – ფიქრობს გოგონა. „ხვალაც ასე იქნება, ზეგაც და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად.“

რა ერთფეროვანია ეს ცხოვრება, რომელიც ერთ ნაკადს მიჰყვება. ნაკადს, რომელმაც გოგონა ხმელეთზე გამორიყა. გოგონა ხეიბარია, მისი ნუგეში კი მხოლოდ ეს ფანჯარაა, საიდანაც იგი მის აწმყოსა და მომავალს ხედავს. ფანჯარა, რომელიც მის დარდსა და ნაღველს, მის ბავშვურ, შენიღბულ სიხარულს იზიარებს.

19.03.98წ.

ცოდვების კვალდაკვალ

ღამის სამოსელისაგან თანდათან იძარცვებოდა ქვეყანა და ბინდბუნდში ლანდების კორიანტელი მიქროდა შორეთისაკენ. წყნარი საღამო იდგა, წყნარი და არაჩვეულებრივად ნათელი. სავსე მთვარე კი ამაოდ ეჭიდებოდა წყლის გუბეში გაჩრილ ორეულს. დუდუნებდა მტკვარი, წარსულის სონეტიდან ამოკვეთილ მელოდიას. მდინარეს კი წერო მოუყვებოდა ყელმოღერებით. მისცურავდა შორეთისაკენ და წყლის ზედაპირზე პატარ-პატარა რგოლებს ხაზავდა.

არაჩვეულებრივი ღამე იყო, მაგრამ ბნელს ოდნავ შეჰპაროდა ფერმკრთალი შუქი დაისისა.

დადუმებულ იდგა მთაწმინდა, მაღლიდან დაჰყურებდა კაცთა საცხოვრისს, მის კალთაზე კი უცნობი მიცოცავდა: ეს იყო სიყვარული.

სიყვარული მიცოცავდა ციცაბოზე.

სიყვარული – სასოწარკვეთილი და ცხოვრებისაგან გაძევებული, რომელიც უაზროდ მიუყვებოდა გოლგოთას სიმაღლისაკენ, სადაც ეგულებოდა იმედი, სიწმინდე და ნათელი. ფეხი უცურდებოდა სალი კლდის სიპ ქვებზე, დაეცემოდა, მაგრამ ფინიშამდე მისვლას მოწყურებულს ჩოჩიალიც სიამოვნებდა. დაკაწროდა მუხლები, ხელის გულები, საიდანაც წვეთ-წვეთად მოჟონავდა სისხლი წამებულისა. კვნესოდა შუაზე გახლეჩილი სული, მაგრამ უნდოდა გადაერჩინა ბნელით მოცული ქვეყანა, უსიყვარულო ქვეყანა. უნდოდა საკუთარი თავი გაეწირა, საკუთარი თავი მიეტანა სამსხვერპლოზე და იქ ქცეულიყო ფერფლად, მისი ხალხის კეთილდღეობის სანაცვლოდ. თვითონ კი გაქრებოდა როგორც შორეული სიზმარი, შორეული ზმანება, მაგრამ ხალხს უშველიდა, კაცობრიობას იხსნიდა, იხსნიდა ცოდვებისაგან –, რომელსაც მხრებით მიათრევდა მთის კალთაზე მობობღიალე.

სულს ღაფავდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ აი, ცოტაც და მიაღწევდა მიზანს.

ესიამოვნა ტანჯვის გზის გავლით მწვერვალზე ყოფნა, უკანასკნელად გადმოხედა ცოდვილ ქვეყანას, ცოდვილი ხალხით დასახლებულს და ამოიკვნესა...

თვალებდახუჭულს ყურში ჩაესმა მტკვრის დუდუნი, რომელშიც ათასი მუდარა შეიცნო, მაგრამ...

ნათელმა თვალები მოსჭრა, გაუხარდა, იგრძნო როგორ ეღვრებოდა სულში სითბო...

იბადებოდა მის თვალწინ მზე, ოქროსფრად აბრჭყვიალებული, მედიდური, უსაზღვროდ ნათელი და მის შუქზე საცოდავად გამოიყურებოდა მხრებში მოხრილი, სისხლიანი, თვალებდაჭყეტილი და გარინდებული მორჩილი მზისა. მნათობის დიდებულებით თვალი გაშტერებოდა და გაეკერპებინა ხილვთას...

დაიჩოქა, მთხოვნელმა, დაიჩოქა ამ უზარმაზარი სტიქიის წინაშე. მზეს შეხედა და ხელგამოწვდილმა დაიჩურჩულა:

– უნათე, ხალხს უნათე! – იწვებოდა მისი სხეული, იხრუკებოდა ხორცი, ფერფლს კი ქარი მიაქროლებდა დაბლა, ცოდვილი ხალხისაკენ, მდინარეში ცვიოდა ნაფლეთებად და იკარგებოდა მის შორეულ სიღრმეში.

გაქრა, გაუჩინარდა, ფერფლად იქცა, კაცობრიობამ კი განაგრძო არსებობათა მზით განათებულ, მაგრამ ამჯერად უსიყვარულო ქვეყანაში...



● თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციაში დილით მივედი, რათა ნარკვევისათვის მასალები ამეღო სიდნეის წლევანდელი ოლიმპიადის მონაწილეობაგანაღდებულ ელდარ კურტანიძისაგან, მაგრამ ვარაუდი მომიცდა: ჯერ ცხრა საათიც არ იქნებოდა, მოჭიდავეები კი დიდი ხნის წასულები ყოფილიყვნენ კუს ტბაზე სარბენად – გრაფიკით იმ დილით ფიზიკური მომზადება ჰქონოდათ და ფალავანთა კლუბის საწვრთნელ დარბაზში მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდნენ ვარჯიშს.

– ნუ ღელავთ, – დამამშვიდა ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ომზარ შოშიტაშვილმა და თავის კაბინეტში შემიძღვა, – გინდაც მოგესწროთ, ვარჯიშს ხომ არ გააცდენდა?! ერთი ორმოციოდე წუთში დაბრუნდებიან!

"ორმოცწუთიანი გულშესაწუხებელი ლოდინი" – გამევლო გუნებაში, მაგრამ ჩემი მასპინძლის წყალობით საქმე სახეიროდ შეტრიალდა: იგი ისეთი საქმის ცოდნითა და გატაცებით მემასლაათებოდა თავის სათაყვანო სფეროზე – ჭიდაობაზე, რომ გუნებაში ღმერთს ვევედრებოდი – ნეტავ მოჭიდავეები შუა დღემდე არ დაბრუნამეთქი.

სამოც წელს მიტანებულ ომზარ შოშიტაშვილს მთელი ცხოვრება ჭიდაობისათვის – სპორტის ამ ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური და, თუ გნებავთ, ყველაზე ქართველური სახეობისათვის დაუკავშირებია. იგი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი...

– საქართველო მოჭიდავეთა უნიკალური ქვეყანაა მთელს მსოფლიოში, – განაგრძობს ბატონი ომზარი, – დღევანდლამდე მან ჭიდაობაში აღზარდა 14 ოლიმპიური, 52 მსოფლიოს და 62 ევროპის ჩემპიონი!.. ხოლო ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე ჩვენმა ათლეტებმა სხვადასხვა სინჯის 300-მდე მედალი მოიპოვეს!!! აი, ასეთი მაჩვენებლები ჩვენისთანა პაწაწკინტელა ქვეყანას კი არა, მსოფლიოს გიგანტებსაც შეშურდებოდათ და რომ იცოდეთ, შურთ კიდეც!

მოსაუბრის შუბლს უცებ სევდის ღრუბელი გადაეფარა.

– ბოლო წლების მოვლენებმა სპორტსაც საშინელი დაღი დაასვა... მაგრამ ჩვენი სპორტსმენები მაინც არ ყრიან ფარ-ხმალს: ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში 1995-99 წლებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე შესაბამისად მოვიპოვეთ 11, 13, 15, 22 და 24 მედალი... სამწუხაროდ, დღეს ჩვენ თითქმის ენთუზიაზმზე ვმუშაობთ. აგერ, მარტის შუა რიცხვებია და ფედერაციის ხელმძღვანელებსა და ნაკრები გუნდების მწვრთნელებს 1998 წლის ორად ორი თვის, შარშანდელი კი მხოლოდ ერთი თვის ხელფასი მოგვცეს, წლევანდელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რით ვიარსებოთ?..

მძიმე დუმილი ჩამოწვა.

– ჰა, ჯანდაბას ჩვენი თავი! დიდი სპორტის მასულდგმულებელი პერიფერიული ნაკადებიც რომ იშრიტება?

– რა გაქვთ მხედველობაში?

– რა და უსახსრობის გამო ვეღარ ვმართავთ საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებს! მომავალმა ოლიმპიელმა თუ მსოფლიოს ჩემპიონმა კი პირველად სწორედ აქ უნდა გაიელვოს და აღმოაჩინონ!.. მოკლედ, ჯერ კიდევ ძველი ინერციით მივგორავთ და თუ ყველაფერი რადიკალურად არ გაუმჯობესდა, არ ვიცი, მომავალში რა იქნება!..

სიდნეის ოლიმპიადაზე, რომელიც წელს სექტემბერში გაიმართება, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის რვა მოჭიდავე გაემგზავრება საქართველოდან. ესენია: ქუთაისელი ალექსანდრე ცერცვაძე, ბათუმელი გენადი ჩხაიძე, გარდაბნელი კობა გულიაშვილი, თერჯოლელი მირიან გიორგაძე, თბილისელი ემზარ ბედინეიშვილი, თელაველი ალექსანდრე მოდებაძე და ამ ნარკვევის მთავარი პერსონაჟი ელდარ კურტანიძე, რომელიც 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზებს. იგი, სპეციალისტების აზრით, ოქროს მედლის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო პრეტენდენტი იქნება ოლიმპიადაზე.

ელდარ კურტანიძე დაიბადა სოხუმში 1972 წელს და ჭიდაობაშიც პირველად იქვე დაუწყია ვარჯიში ცნობილი მწვრთნელის შოთა კიკაბიძის ხელმძღვანელობით. აფხაზეთის მოვლენების შემდეგ თბილისში ცხოვრობს და სწავლობს – თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

რაც ელდარს მიუღწევია თავისი ხანმოკლე სპორტული კარიერის მანძილზე და თანაც იმ ბედუკულმართ 90-იან წლებში, კაცს ფანტასტიკადაც კი შეიძლება მოეჩვენოს. იგი სამგზის (1996, 97,98 წ.წ.) ევროპის ჩემპიონია, მსოფლიოს პირველობის ორგზის (1993,97 წ.წ.) და ოლიმპიური (ატლანტა) თამაშების პრიზიორი. რეიტინგული მონაცემებით ელდარი სამჯერ (1993,96,97 წ.წ.) იყო მსოფლიოს ჩემპიონი.

მას მაღალგანვითარებულ ქვეყანაში რომ ეცხოვრა, ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენი იქნებოდა, ელდარი კი ხელმოკლედ, უფრო სწორედ, უმრავლესი ქართველი სპორტსმენის მსგავსად ღარიბად ცხოვრობს. როცა უცხოელი კოლეგები იგებენ მისი საარსებო შემოსავლის ოდენობას, უბრალოდ არ ეჯერებათ და ეს პროპაგანდა ანდა იაფფასიანი თავმოსაწყლება ჰგონიათ.

– პრობლემები?! – თავშეკავებით გაიმეორა ელდარმა, – ეჰ, პრობლემები რას დამაკლებდა, ტრაგედია რომ არ მტანჯავდეს!

– ტრაგედია?! – განცვიფრება ვერ დავფარე, – თქვენ? ევროპის სამგზის ჩემპიონს? მიმავალი საუკუნის ბოლო ოლიმპიადის მონაწილეს?

– მერე რა!.. – მომიჭრა და ჩემს გაუთვითცნობიერებაზე მწარედ ჩაეცინა, – მთელი ჩემი ტრაგედია, როგორც

ალბათ ბევრი სხვა ქართველი სპორტსმენისა, იმაში მდგომარეობს, რომ მე, როგორც სპორტსმენი, არავის ვჭირდები და ვენაღვლები!!! ჩემი თავი უნდათ მხოლოდ როგორც ბრმა ძალა, როგორც რობოტი, რომელმაც უცილობლივ უნდა გაიმარჯვოს და კიდევ ერთი ოქროს მედლით გაამდიდროს ეროვნული სპორტული ყულაბა! მაგრამ რა გზითა და რის ფასად, ეს უკვე აღარავის აინტერესებს! "მიდი, იჭიდავე!" — მხოლოდ ეს გვესმის გლადიატორებივით.



მოსაუბრემ თავშეკავებით ამოიოხრა.

— განა შეიძლება ამ პირობებში ვარჯიში? ფალავანთა კლუბი თითქმის გაპარტახებულია. მინებჩამტვრეულ სავარჯიშო დარბაზებში გახვითქულ სპორტსმენებს გამკრავი, ყინულივით ცივი ქარი გვცემს!.. არ არის გათბობა, შხაპი, ინვენტარი, ავეჯი, საცმელი..

ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. ახლოდან რომ გაჩვენათ, დასავლეთში ვარჯიშის რანაირი პირობები აქვთ, თავი სიზმარში გეგონებათ! იმ გარემოსა და რეჟიმში ქართველი მოჭიდავეები რომ ამყოფოთ, არ ვიცი, მერე ნეტავ თუ იქნებოდა ვინმე მათი მომრევი?!. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს რად ღირს: იმათ ერთ სპორტსმენს შეჯიბრზე თავს ვინღა არ დაჰფოფინებს — მენეჯერი, მწვრთნელი, ჟურნალისტი, ფოტორეპორტიორი, ექიმი, ცალკე ქირურგი, ცალკე ფსიქიატრი, ცალკე მასაჟისტი...

აქ ელდარს ისე მტკივნეულად დაემანჭა სახე, თითქოს ტიტველი ფეხი აკაციის ეკალს დაახიაო.

— შეჯიბრზე მეტისმეტი დაძაგვრისაგან ზოგჯერ ისე დამბუჟებია და გამქვავებია ხელ-ფეხის კუნთები, შეშინებია — შეიძლება სულ ჩამწყდეს და სამუდამოდ კუტად ჩავვარდე-მეთქი. იმ წუთებში ნამდვილი ალერსდანატრებული ობოლი ბავშვივით მომწყურებია, რომ მეც დამტრიალებდნენ თავზე და მასაჟით აღმიდგენდნენ უშელავათო შერკინებისაგან დანგრეულსა და გამოფიტულ სხეულს. მაგრამ ეს ჩვენთვის როგორ იქნება — ღმერთი იწყენს! ეს ყურადღება და ფუფუნება მხოლოდ იმათ, დასავლეთელ სპორტსმენებს ეკუთვნით! ჩვენ კი კორიდაზე შეგდებული ხარივით მხოლოდ უნდა ვიბრძოლოთ და მედლები მოვიხვეჭოთ!

მოჭიდავემ ჯიქურ შემომანათა საოცრად წრფელი თვალები.

— ამიტომ ღრმად მწამს, მარტო თავისუფალ ჭიდაობაში კი არა, რომ ვიყო რაღაც ზღაპრული სასწაულმოქმედივით ათლეტი და სიდნეის ოლიმპიადის ყველა სახეობის ოქროს მედალი მე მოვიგო და ჩამოვიტანო საქართველოში, მერწმუნეთ, პირადად ჩემს ცხოვრებაში არაფერი არ შეიცვლება — არც მატერიალური და არც მორალური თვალსაზრისით: ფართო საზოგადოებისათვის კვლავაც უცნობად და ჭიდაობის ერთ ხელმოკლე, ულიმღამო შავ მუშა-სპორტსმენად დავრჩები!

მძიმე დუმილი ჩამოწვა.

— თუმცა სხვას რა უნდა მოვთხოვო, როცა თვით სპორტული პრესაც კი არ გვაქცევს ჯეროვან ყურადღებას! ისინი ძირითადად ფეხბურთისა და ფეხბურთელების ავ-კარგით არიან დაკავებულნი ანდა ბრმად აიჩემებენ ხოლმე დასავლეთელ ვარსკვლავებს და მათ ოჯახებში კატას კუდი რომ გადაუბრუნდეს, გასაკვირი დაწვრილებითა და დაჟინებით ჩასჩიჩინებენ იმას მკითხველებს, საწყალი მოჭიდავე კი, რომელიც კატორღულ პირობებში ვარჯიშობს და მერე გლადიატორივით აბრძოლებენ, ვის ახსოვს და ენაღვლება!..

ჩემი აზრით, ასერიგად მომრავლებულ სპორტულ ჟურნალისტებს აკლიათ პოლიტიკური სიმწიფე და პროფესიონალური შორსმჭვრეტელობა.

მოსაუბრემ თვალი თვალში გამიყარა.

— არ იფიქროთ, თვითგანდიდების ჭია მღრღნიდეს. მე მხოლოდ ჯეროვან დაფასებას მოვითხოვ, რაც, ჩემი აზრით, საჭიროა ნორჩი თაობისათვის, რომელიც ხედავს, რომ, მაგალითად, ჩარჩოიან ქურდს უფრო მეტი სახელი და დაფასება აქვს საზოგადოებაში, ვიდრე ოლიმპიელს თუ მსოფლიოს ჩემპიონ გაფხეკილ სპორტსმენს. ამიტომ ის თავისი მომავლის გადაწყვეტისას საბედისწერო გადაწყვეტილებას ღებულობს. აი, რა მტკენს გულს!!!

ამ სიტყვებით მან მდუმარედ გახედა თავის ხუთი წლის ბიჭუნას, პაპის მოსახელე ნოდარს, რომელიც სასტუმროს ეზოში ბურთს დააგორებდა.

— ამიტომ გულახდილად უნდა გითხრათ, სიდნეიში წამყვება ორი გრძნობა — სევდა და სიხარული. სევდა-მწუხარების მიზეზი გულწრფელად გაგიმხილეთ უკვე. რაც შეეხება სიხარულს, მას ჩემში ბადებს სპორტული ჟინი და თვითდამკვიდრების ინსტინქტი. ასევე ადამიანური ოცნება-მისწრაფება, რომ იქნებ შევძლო და ოქროს მედლით გავახარო როგორც ჩემი გაჭირებული სამშობლო, ისე ჩემი მწვრთნელი გიორგი გალდავა, რომელიც ჩემთვის ყველაფერია. ამხელად ამის მეტს ვერაფერს გეტყვით.

მეც მეტი აღარაფერი მიკითხავს.

ჯემალ მეხრიშვილი

(მაგარძელია)

თავის ასეთი თერმენტალიკა ამ-ღენად თავგასვრილი, ვინეანალი და სანოსი ჭალი ყო, რის თავში ენა-ინოსის კარეფისთვის გამოყენა არ უფენია, ოღმა კრისტალი შეეყოფა ჩა-ენეფოსა ეს ფეი ბისოს, მაგრამ ეს ჭალი ეკიე ეფენოდა. ბანკეფოსა ვინეანფენეფოსი ფეი კრისტალი ეფენა ეს ფეთ ენეანეფა. ეს ფეი ბისოს, მაგრამ ეს ჭალი ეკიე ეფენოდა, ჩაგან ფეი თავის ენეფი ეკიეა. ფეენეფი ბის თანამ. ხოლი ფე ეკეეე ბეფენეფი ბისეს. ეკ-ფეი ენეფისაკენ ფეფენეფი ხოლე, ეფ-ეკიე ეკეეე. რომ ეს ბალე ბეეი, მაგრამ ეკეეეენეფი. ოთხენ ბორეფ ადტაენ ბის შეიფეეეს ბალე ბეეეე ტრეკეენეეეს ბიეეეეს.

ოფეენეფი ბისეფალეე. ოთა ფეენეეე ოეეფთან ოთეფთან ბეეფთანეეეს. ოე ეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ათ წელიწადში ერთხელ, ოკეანეში 1000 მილის დაშორებით იბადება ურჩხული

ეს ყოველთვის ზამთარში ხდება, ძლიერი ქარიშხლის შემდეგ. მონსტრი მრავალსართულიანი სახლის სიმაღლისაა, ხმელეთისკენ 25 კვანძი სიჩქარით მოძრაობს და თან ანადგურებს დელფინებს, ზღვის ლომებს, თეთრ ზვიგენებს... რამდენიმე დღის შემდეგ ის უახლოვდება სანაპიროს და შთანთქავს ადამიანებსაც, თუკი ისინი გზას გადაულობავენ.

გიგანტური ტალღა წყნარი ოკეანის შუაგულში მორიგი ქარიშხლის შემდეგ იბადება. თავიდან ეს მშფოთვარე ტალღების უბრალო თამაშია, სადღაც ტაიტის მიდამოებში. მაგრამ ეს არის ზედაპირული გასართობი, დიდ სიღრმეში, მოძრაობაში მოდის წყლის უზარმაზარი მასები.. ნელ-ნელა წყალი იკრებს ძალას, დაბრკოლების გარეშე გადის 2000 ზღვის მილს და ალიასკასთან ან კალიფორნიის მიდამოებთან უკვე მისი სიმაღლე 10-15 მეტრს აღწევს. ოკეანის ნამდვილი მონსტრი მხოლოდ იმ მიდამოებში იბადება, სადაც სანაპიროდან მოშორებით არის ეგრეთწოდებული „სასიკვდილო ზღვარი" – ფსკერის მკვეთრი ამაღლება. როცა წყლის მასა ამ ადგილს გადაივლის, მისი ენერგია და სიმაღლე ორმაგდება. ასე იბადება „გოძილა" – ათწლეულის ყველაზე დიდი ტალღა.

მისი გამოჩენა ნამდვილი ზეიმია გიგანტური სერფინგის მოყვარულთათვის.

მაშველთა სამსახურის კატეგორიული აკრძალვისა და გაფრთხილების მიუხედავად, მაშინაც მიცურავენ ღია ზღვაში ოკეანის მონსტრთან შესახვედრად. ამ ტალღას ისინი წლობით ელიან, მის წინაშე მუხლს იდრეკენ და... ამავდროულად სძულთ.

მათ ხშირად ეკითხებიან, რა აიძულებთ ბრძოლაში გამოიწვიონ ზღვის მონსტრი?

„თქვენ მდგარხართ ოდესმე 30 მეტრიანი კლდის კიდეზე, რომელიც მოძრაობს 40 კმ/სთ სიჩქარით, ღრიალებს, მძვინვარებს და თან ცდილობს ჩამოგაგდოთ თავისი მწვერვალიდან?" – სვამენ მორიგ კითხვას „მონადირენი".

მარკ ფუ, რომელიც ხუთი წლის წინ დაიღუპა „გოძილას" ცივ კლანჭებში, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალისტებს გამოუტყდა: „ვგრძნობ, ოდესმე ოკეანე შთანთქავს. მაგრამ თუ ნამდვილად გინდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაიმორჩილო ყველაზე დიდი ტალღა, მზად უნდა იყო იმისათვის, რომ ამ ტალღაზე დამთავრდება შენი სიცოცხლეც..."

ისინი თავის თავს „ოკეანის მთიელებს" უწოდებენ. მათი არენაა – ზამთრის უკაცრიელი პლაჟები და შავი, მკაცრი ზღვა.

პირველი „მთიელები" – ხუთი-ექვსი კაცი ჰავაიზე გამოჩნდნენ 1957 წელს. მაშინ მათ ბევრი შეშლილებად ან თვითმკვლელთა საშიშ სექტის წარმომადგენლად თვლიდა. ამ შემზარავი სპორტის „პიონერებს" პოლიციისა და მაშველთა სამსახურისგან დამალვა უხდებოდათ. სახლის პირობებში ამზადებდნენ მძიმე, წაგრძელებულ „დაფებს" . მოკლე, ანუ როგორც თვითონ ამბობ ვის არ გამოდგებოდა. ერთი მეტრი სიგრძის დაფაზე რთულია თავის შეკავება, როცა წყალი ასე მძვინვარებს. სეზონისათვის თითოეულს ნახევარი დუჟინი სამმეტრიანი დაფის დამზადება უხდებოდა - „გოძილას" ჩვევად აქვს შთანთქოს ისინი და ნაპირზე ნამსხვრევები გამოყაროს...

ჰავაის ტყუილად როდი დაარქვეს სერფინგის სამშობლო... ერთ-ერთ აქაურ კუნძულს – ოახუს – განსაკუთრებით ნოემბერში უტევენ მკვლელი ტალღები, რომლებიც ალეუტის კუნძულებიდან მოგორავენ. ასეთ ტალღებს სერფინგის ფანატებმა „ალეუტის საჩუქარი" უწოდეს.

დიდმა სერფინგმა პირველად 1985 მიიპყრო ყველას ყურადღება, როცა ოახუს კუნძულს ესტუმრა „ისტორიული" 22,5 მეტრი სიმაღლის ტალღა. იმ დღეს ზოგიერთი რეპორტიორი ვაიმეას პლაჟზე მივიდა, რომ ფირზე გადაეღო, როგორ დაფარავდა სანაპიროს წყლის მთა. მათ შეამჩნიეს რამდენიმე სერფინგისტი თვითნაკეთი გიგანტური „ფიცრებით". მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ისინი ელოდნენ ტალღას ზვირთცემის ადგილას. ფოტოგრაფებისათვის დაიწყო ნამდვილი შოუ. მეორე დილას გაზეთების პირველი გვერდები დაამშვენა „გოძილაზე" ამხედრებული მარკ ფუს, კენ ბრედშოუსა და ბროკ ლიტლის ფოტოებმა. „გიჟური სერფინგი ჰავაიზე: სპორტსმენი – კამიკაძეები ერთობიან ცუნამიზე!" – იუწყებოდნენ მკვეთრი სათაურები.

მსოფლიომ ერთ საათში შეიტყო ზღვის „მთიელების" კლანზე და როგორც ჩანს, მხოლოდ ახლა მიხვდა, რა არის ნამდვილი სერფინგი. დღეს უკვე ოკეანის კორიდის არც ერთი შემოტევა არ რჩება პრესის ყურადღების გარეშე და „მთიელებიც" იძულებულნი არიან, საგულდაგულოდ შეიცვალონ გარეგნული იერ-სახე. ისინი ირჩევენ ყველაზე ლამაზ და მოდურ შავ ჰიდროკოსტიუმებს მკვეთრი ალისფერი, მეწამული, ფირუზისფერი ზოლებით... თავის დაფებს ალამაზებენ ცეცხლისფერი ლაქებით, გაღიმებული თავის ქალებით და თავხედური წარწერებით. ამას გარდა, მათ დაფებზე ხშირად დაინახავთ საცურაო კოსტიუმების და პლაჟების აქსესუარების მწარმოებელი ფირმების რეკლამებს. ადრე ეს არ ხდებოდა, მაგრამ დღეს „მაღალმთიანი" სერფინგის თითქმის ყველა სუპერვარსკვლავი სარეკლამო ბიზნესის ტოპ-მოდელებად ითვლებიან.

ასე, სრულიად მოულოდნელად ისინი გამდიდრდნენ: ექსტრემალური ჰობი შემოსავლის წყარო გახდა. დღესდღეისობით „გოძილასთან" ნახევარსაათიანი შებმა რამდენიმე ათასი დოლარის მომტანია.

არცაა გასაკვირი, რომ მსურველთა რაოდენობა, მოესინჯათ ძალა გამძვინვარებულ 20 მეტრიან ტალღაზე, 90-იანი წლებიდან საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდების მოზღვავებისა, ნამდვილ „მონადირეების" რიცხვი – ასამდე – უცვლელია, როგორც ათი წლის წინ. მიზეზი საკმაოდ ტრაგიკულია: სპორტის ამ სახეობაში ახალბედებს ნაკლებად უმართლებთ. სერფინგისტის ნებისმიერი მცირე შეცდომა მისთვის ხშირად საბედისწერო ხდება. თუ ძალიან მაღლა შეხტები, ტალღის ქიმთან ახლოს, „გოძილას" მრავალტონიანი კუდის დარტყმა წამიერად ამტვრევს ხერხემალს... დაეშვები ძალიან დაბლა და მონსტრი მთელი ძალით მიგაჯაჭვავს ზღვის ფსკერს და არ გაგიშვებს, სანამ ფილტვებში ჰაერია.

„როგორც ჩანს, ჩვენ არასოდეს ვიქნებით ასზე მეტი – ოკეანე ამას თვალს ადევნებს" – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში დიდი სერფინგის ასი კენ ბრედშოუ. ეს სიტყვები პლაჟის ცხოვრებაში ფრიად გავრცელებული ცრურწმენის ანარეკლია: „მონადირეებს" მიაჩნიათ, რომ ყოველი „ასმეერთე" სერფინგისტი ზედმეტია და „გოძილას" თავისთან მიჰყავს. ისინი ცხოვრებაში მეგობრებად რჩებიან, მაგრამ ტალღის ქიმზე ერთმანეთს არ აძლევენ გამარჯვების საშუალებას.

„მონადირეებმა" დიდი ხანია შენიშნეს, რომ თუ ორი სპორტსმენი ერთდროულად ცდილობს ტალღის დამორჩილებას, ერთ-ერთი მათგანი იღუპება. ზუსტად ასე მოხდა 1994 წელს, როცა 18-მეტრიანმა კალიფორნიელმა „გოძილამ" შეიწირა მარკ ფუს სიცოცხლე. მარკი სუპერვარსკვლავად ითვლებოდა. ის ფლობდა რამდენიმე მაღაზიას, სადაც სერფინგისთვის საჭირო ნივთები იყიდებოდა. ის გამოდიოდა ტელევიზიით და მრავალათასიან აუდიტორიას ექსკლუზიურ გაკვეთილებს ასწავლიდა. და ბოლოს, მან დაამკვიდრა უზარმაზარი ტალღების დამორჩილების საკუთარი სტილი: ენერგიული, შეუპოვარი და ძალიან სახიფათო.

სერფინგისტების „დიდ ასეულში" ჯერ კიდევ 1985 წელს დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის მარკ ფუსა და ამერიკელ კენ ბრედშოუს შორის. მაშინ ჩინელმა განაცხადა: „დედამიწის ზურგზე არავის შეუძლია ჩემზე უკეთ გაუმკლავდეს ალეუტის ტალღას". ამან ძალიან გააღიზიანა ბრედშოუ.

მარკ ფუმ სერფინგზე ვარჯიში შედარებით გვიან დაიწყო – 17 წლის ასაკში /და არა 6-7 წლიდან, როგორც მისმა ამხანაგებმა/. ის ცურვასა და დაფაზე დგომას ერთდროულად სწავლობდა. პირველად 1983 წელს ჰავაიზე დაინახა მარკმა ჰორიზონტზე 10 მეტრიანი ალეუტის გიგანტი და მის შესახვედრად ჩვეულებრივი მოკლე ფიცრით გაემართა. პირველი შებმა წარმატებული გამოდგა. მხოლოდ ნაპირთან ახლოს ვეღარ შეიკავა თავი – რამდენიმე წუთი ტრიალებდა ქაფიან წყალში, მერე კი ტალღამ ნაპირზე გამოაგდო ფიცრის ნამსხვრევებთან ერთად. მარკმა მიიღო მკაცრი გაფრთხილება მაშველთა სამსახურისგან, მეგობრებისგან კი – ერთი ყუთი შამპანური. ის მანქანამდე დიდი პატივით მიიყვანეს – ტკივილებისაგან მარკი ვერ მოძრაობდა და რამდენიმე დღე საწოლში გაატარა. ასე დაიწყო მისი სასტიკი რომანი „გოძილასთან". მას უყვარდა ფოტოგრაფირება, რაც მისი კონკურენტების სიძულვილს იწვევდა. ჩინელი დაუღალავად პოზირებდა კალენდრებისა და ვიდეორგოლებისათვის. თითქოს ვიდეოკამერების თანდასწრება ეხმარებოდა მას რთული ტრიუკების შესრულებაში. „15 მეტრიანი გიგანტის ქიმზე ისე გრძნობს თავს, როგორც მალიბუს რომელიღაც პანსიონში ხელოვნურად

წყლის მონსტრი

მოამზადა ნინო დგებუძემ

შექმნილ პატარა ტალღაზე" – ამბობდა მისი სინგაპურელი მეგობარი, ცნობილი „მონადირე" დენის პენი.

მარკ ფუს აზიური ტემპერამენტის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა იყო სწრაფვა, „მოეპარა" ტალღა – მას უყვარდა „გზის გადარბენა" და კოლეგებიც იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ. ერთხელ ზედიზედ ოთხჯერ წაართვა კენ ბრედშოუს დიდი ხნის ნანატრი შანსი ოკეანის მონსტრის დამორჩილებისა, რაც ამერიკელმა ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს, თმებში ჩააფრინდა და ასობით ცნობისმოყვარისა და ჟურნალისტის თვალწინ წყალში ჩააყვინთა. ეს მოხდა სანსეტ-ბიჩის სანაპიროზე სერფინგის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე 1987 წელს. უკვე მეორე დღეს სათანადო ფოტოები ამშვენებდნენ ჟურნალ „სერფერის" ფურცლებს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევის შემდეგ მათი ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მათ ხედავდნენ ერთ კომპანიაში ვაიმეას პლაჟზე მდებარე ბარ „უობლზში", სადაც კენი ლუდს უკვეთავდა, მარკი კი რომით გაჯერებულ ნაყინს. ისინი მეგობრები გახდნენ და გულკეთილმა კენმა გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი, აჩვენა მარკს თავისი „საიდუმლო ადგილი" – მომცრო ზღვის უბე კალიფორნიის სანაპიროზე, სადაც განსაკუთრებით ხშირად ჩნდებოდნენ ხოლმე 10 მეტრიანი „გოძილები". კენი ამ ადგილს „დიდ ალიგატორს" ეძახდა.

ბრედშოუს საიდუმლო კლანის ყველა წევრს აინტერესებდა, მაგრამ ეს პატივი მხოლოდ მარკ ფუს ერგო. თუმცა მათი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელ, როცა კენი „დიდ ალიგატორს" მიუახლოვდა, წყალთან ახლოს უამრავი რეპორტიორი და ძველი ნაცნობი შეამჩნია. „მე ერთ ფოტოჟურნალისტთან საუბრისას შემთხვევით ვახსენე „ალიგატორის" მდებარეობა" – თავს იმართლებდა მარკ ფუ. როგორც ჩანს, მას მართლა შეეძლო საოცრებების ჩადენა, მხოლოდ ვიდეოკამერის წინ...

მივიწყებულმა მტრობამ ახალი ძალით იფეთქა. როცა 1994 წლის ზამთარში „ინტერნეტმა" გაავრცელა ცნობა, რომ მკვლელი ტალღები უახლოვდება მეივერკის ყურეს, /კალიფორნია/ მარკი და კენი მივიდნენ იქ, როგორც ულმობელი მტრები. ჩინელი მხიარულად გამოიყურებოდა: ის ახლახან დაინიშნა ამერიკელი ლამაზმან ლაიზა ნაკანოზე. ბრედშოუ კი პირიქით მოღუშული იყო: მან ორი კვირა დაკარგა ალიასკაზე „გოძილების" მოლოდინში, მაგრამ სინოპტიკოსების პროგნოზი არ გამართლდა.

და აი, 23 დეკემბრის დილას ჰორიზონტზე გამოჩნდა ერთდროულად ოთხი შავი ზოლი. უამრავი „მონადირე" მიაწყდა წყალს. კენმა ყველა უკან ჩამოიტოვა, ის ორი კილომეტრით იყო ნაპირს დაშორებული, როცა გამძვინვარებული წყლის კედელი მიუახლოვდა და ქიმზე აიტაცა. ეს იყო ნამდვილი 25 მეტრიანი მონსტრი – ათწლეულის ყველაზე დიდი ტალღა, რომელიც არ ყოფილა 1985 წლიდან! კენი ფეხზე დადგა, გაწონასწორდა, უცებ წინ შეამჩნია მკვეთრი მეწამული ლაქა: თავის საყვარელ დაფა „ჰავაიან ვაიბრეიშნზე" ამხედრებული ჩინელი კვლავ ტალღის „მოპარვას" ცდილობდა! უფრო მეტიც: ოდნავ უკან „გოძილაზე" ასვლას ცდილობდნენ ჰავაის 1992 წლის ჩემპიონი ბროკ ლიტლი და აკრობატული ტრიუკების ცნობილი გამომგონებელი მაიკ პარსონი. ოთხივემ ერთად შეუტია „გოძილას" და ისიც გამძვინვარდა.

მაიკ პარსონმა მძიმე დარტყმა მიიღო ზურგში – ის ქიმიდან თავქვე დაეშვა, ტალღამ ქვეშ მოიყოლა და წყლის მორევში ჩაიძირა. ბროკ ლიტლიც რამდენიმე წამში ფსკერს მიაჯაჭვა – ნეილონის ძაფი, რომლითაც მიბმული იყო დაფაზე, სიღრმეში ქვას წამოედო. იგი სასწაულმა იხსნა: ძაფი იმ მომენტში გაწყდა, როცა ლიტლი გონებას კარგავდა. კენ ბრედშოუ კი ნაპირთან ახლოს ჩამოვარდა ტალღის ქიმიდან და მთელი ძალით მიენარცხა მოტივტივე ნავს. მარკ ფუს ერთი საათი ეძებდნენ. ბოლოს შეამჩნიეს მეწამული ლაქა – დაფის ნამსხვრევი, რომელზეც ფეხით მიბმული იყო მისი უსულო სხეული.

მარკი კლანის ტრადიციებით დაკრძალეს. 150-მდე ქალი და კაცი შეიკრიბა ვაიმეას პლაჟზე გრძელი დაფებით. მათ გაცურეს ორი მილი და წარმოქმნეს ცოცხალი წრე. თითოეულმა წყალში თეთრი მიხაკი ჩააგდო, შემდეგ ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს და სამჯერ წარმოთქვეს დაღუპულის სახელი. ფერფლიანი ურნა კი წყალში ჩაუშვეს. ბედის ირონიით მარკ ფუს ბოლო მოგზაურობასაც მთელს ამერიკაში ტელევიზიით გადასცემდნენ.

სუპერვარსკვლავის სიკვდილმა უფრო მიიზიდა ამ ექსტრემალური სპორტის ახალგაზრდა მიმდევრები – მარკ ფუს სახელი კულტი გახდა. მისი ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი 1998 წლის მსოფლიო პირველობა. ეს სეზონი აღინიშნა ორი გიგანტური ტალღის გამოჩენით: მეივერკის ყურეში და მექსიკაში ტოდოს-სანტოსის კუნძულთან ახლოს. ამჯერად შეჯიბრში მხოლოდ ახალგაზრდები მონაწილეობდნენ და მან მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

დღეს „მონადირეები" ინფორმაციებს „გოძილების" შესახებ, იღებენ ყველაზე თანამედროვე საშუალებების გამოყენებით ინტერნეტის ჩათვლით. თავის მეკავშირეებად ისინი მეტეოროლოგებს თვლიან და განსაკუთრებით ამინდის ახალგაზრდა წინასწარმეტყველს შონ კოლინზს. სერფინგით გატაცებულმა, მეტეოროლოგიური კოლეჯის წარუმატებელმა სტუდენტმა, გიგანტური ტალღების ძებნის საკუთარი სისტემა შეიმუშავა. მან თავისი ჯიპის სახურავზე თანამგზავრული ანტენა დაამაგრა. ის კოსმოსიდან ფაქსით იღებდა ოკეანის ზედაპირის ფოტოს და შეისწავლა, ზუსტად ნახევარი საათით ადრე ეწინასწარმეტყველა „გოძილას" მორიგი შეტევა. „მონადირეები" შონს „ციურ გურუს" ეძახიან და მის ყველა ინფორმაციას ხარბად ელიან. და როდესაც მთელს მსოფლიოში გავრცელდება შემაშფოთებელი ცნობა „გოძილა ახლოვდება!", კაცობრიობას შეუძლია მშვიდად იყოს, ზღვის მონსტრს საკადრისად დახვდებიან.

კროსვორდი



თარაზულად: 9. მეტყველების რიტმულ–მელოდიური წყობა, ხმის აწევდაწევა წარმოთქმისას. 10. მედლებისა და ლითონის ფულის ჩამოსხმისა და ჭედვის სპეციალისტი. 12. წრის მეოთხედი ნაწილი. 13. სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. 14. ფურცელი რომელზედაც სხვადასხვა კითხვაა ჩამოწერილი გარკვეული ცნობების შესაგროვებლად. 15. ერთ–ერთი რიცხვი და რაოდენობა. 16. გრძელი ფართო წამოსასხამი. 18. ებრაელთა და ქრისტიანთა „საღმრთო წიგნების" კრებული. 22. ხედი, პანორამა რისამე, რაც დამკვირვებლისაგან მნიშვნელოვნადაა დაშორებული. 23. ადამიანი, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული. 24. ვარიის ტოლა გარეული ფრინველი ქათმების ოჯახისა. 27. ალკოჰოლით მდიდარი ადვილად აალებადი სითხე. 31. წელთაღრიცხვის სისტემა. 34. თავდავიწყებით გატაცება რამეთი. 35. უეცარი შიში, ძრწოლა, თავზარი რომელიც შეიპყრობს ადამიანთა ჯგუფს, ხალხს (ან ცალკე ადამიანს). 36. სიტყვათა თამაში, რაც ემყარება ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის სხვადასხვა სიტყვის (ანდა ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის) გამოყენებას. 37. ბერ–მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა. 38. უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა, შეხლა–შემოხლა.

შვეულად: 1. კინოს სახელწოდება ძველად. 2. ქალაქი აშშ–ის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში. 3. ძალიან ლამაზი ბაღი. 4. ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი. 5. XVIII საუკუნის შოტლანდიელი პოეტი. 6. კინოსა და თეატრის იტალიელი მსახიობი ქალი. 7. სამსტრიქონიანი სტროფი სონეტში. 8. ქალაქი ჩრდ. ესპანეთში. 11. რელიგიურ–იდეალისტური შეხედულება, რომელიც ცდილობს ახსნას ისტორიული მოვლენები არა მათი შინაგანი კანონზომიერებით, არამედ განგების ძალით. 17. საბაღო დეკორატიული ხელოვნება. 19. გემზე ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი. 20. ქართველი კინორეჟისორი, პირველი ქართული ხმოვანი ფილმის დამდგმელი. 21. ევროპის სახელმწიფო. 25. მდინარე სამხრეთ ამერიკაში. 26. აგურის სახით დაპრესილი რაიმე ფხვიერი მასალა (მაგ. ნახერხი, ჩაი, ნაყენი და სხვა). 28. მსახიობ ვ. ჩხაიძის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა". 29. კუნძული წყნარ ოკეანეში. 30. მხატვარ პაბლო პიკასოს ქალიშვილის სახელი. 31. შენობა, ოთახი, დაწესებულება, სადაც წარმოებს ფულის ოპერაციები. 32. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი. 33. სოფელი სამხრეთ იმერეთში.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

„დროშა" №4–5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. სარდიონი. 8. მარადონა. 10. ამაგი. 11. სტენდი. 12. ანჩარი. 15. ეტლი. 17. ბრიდვეი. 18. კაჟი. 19. შარიფი. 20. „ოდისეა" 24. როლი. 25. სკიპტრა. 26. იორი. 29. მენოტი. 30. რატინი. 31. კლერი. 33. სკალპელი. 34. დისკანტი.

შვეულად: 1. პარიტეტი. 2. სინოდი. 3. ანძა. 4. ჰამი. 5. სალონი. 6. ანტურაჟი. 9. ფასადი. 13. გრაფიკა. 14. ტენდერი. 16. ისარი. 18. კვერი. 21. პოლემიკა. 22. ეპოპეა. 23. ტრანზიტი. 27. შტამპი. 28. ბარაკი. 31. კელი. 32. ილია.

საქართველოს ჟურნალ–გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლო" მ. კოსტავას ქ. №14





ილუსტრაციები

მხატვარი მურთაზ აბაშიძე

F412
2000

ก. 219/1